ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 28 სექტემბერი, 2021 №181 (8710) ფასი: 60 თეთრი

## 20 წლის ლ.ჩ.-მ მანქანა გატეხა და იქიდან ნივთები მოიპარა



გვ.5



გვ.5

## იარაღის უკანონო შეძენა-გასაღების ბრალდებით 5 პირი დააკავეს

# „არ გამიკვირდება, რომ გახარიას წინააღმდეგ საქმე აღძრან“



გვ.3

გია ნოდია: „ოცნებამ“ 40%-ზე მეტი არ უნდა აიღოს, მაგრამ ეცდება, ვადამდელზე არ წამოვიდეს“



## „გახარია „ოცნებასთანაც“ ივაჭრებს და ნაციონალებთანაც“

ლევან ალაფიშვილი: „ამ არჩევნებზე მთავარია, ვინ დაიკავებს მესამე ადგილს“



გვ.3

## „ოცნება“ — 36%, ნაციონალები — 27%, გახარიას პარტია — 11%

ედისონ რისერჩის კვლევა



გვ.3

## „ტაკიმასხარა სააკაშვილი თუ ჩამოდის, ჩამოვიდეს“



პაატა ზაქარეიშვილი: „მკვდარს რომ კოსტიუმს ჩააცმევენ და გიტარას დააჭერინებენ, ვითომ ცოცხალიაო, აი, ამ დონეზე დაიყვანა „ოცნებამ“ ნაციონალები“



გვ.2

## „ამ ფაილებს თავისუფლად შეგვიძლია, სააკაშვილის ფაილები ვუწოდოთ“



გვ.4

ანზორ აბრალავა: „არა მგონია, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში გახარიაც ჩაერთოს“

ISSN 1987-9385

2 გახარიამ კობახიძეს პროკურატურაში უჩივლა

4 ამირან გამყრელიძე კახეთში ღვინოს კრამიტით სვამს „ვიმსჯელეთ ვაქცინაციის გააქტიურების საკითხებზე“

5 პროკურატურამ მამუკა ნოზაძისა და გრიგოლ წაქაძის გამამტყუნებელი განაჩენი გაასაჩივრა

6 გერმანიის ახალი კანცლერი შეიძლება ოლაფ შოლცი გახდეს

# „ტაკიმასხარა სააკაშვილი თუ ჩამოდის, ჩამოვიდეს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „მკვდარს რომ კოსტიუმს ჩააცმევენ და გიტარას დააჭერინებენ, ვითომ ცოცხალიაო, აი, ამ დონეზე დაიყვანა „ოცნებამ“ ნაციონალები“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, სულ რამდენიმე დღე რჩება არჩევნებამდე. როგორც მოსალოდნელი იყო, იძაბება სიტუაცია. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება ამ სიტუაციაში არჩევნების მოგება. რის იმედად არიან ასე დარწმუნებული? ნეიტრალური კუთხით როგორ აფასებთ არსებულ სიტუაციას?***

– ყოველთვის მეძლევა შესაძლებლობა, თქვენი გაზეთით ობიექტურად მიმოვიხილო სიტუაცია და ამისთვის დიდი მადლობა. რაც შეეხება საარჩევნო სიტუაციას, „ქართული ოცნება“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც იგებს. აბსოლუტურად უსაფუძვლოდ თვითონ დაარქვა ოპოზიციამ ამ არჩევნებს რეფერენდუმი. ამ არჩევნებს ისე ნუ ვუყურებთ, როგორც საპარლამენტო არჩევნებს. ეს ადგილობრივი არჩევნებია და ადგილებზე მოხდება გამარჯვება– დამარცხება. სადღაც მეტ ხმას მიიღებს „ქართული ოცნება“, სადღაც – ნაკლებს, სადღაც ოპოზიციას ექნება უპირატესობა. ეს სულ სხვა ტიპის არჩევნებია. ამ ფონზე არანაირი მკაფიოდ გამოკვეთილი გამარჯვებული არ იქნება, თუ ყველა რაიონში მართლაც „ქართულმა ოცნებამ“ არ დაიკავა წამყვანი ადგილი.

***– დაიკავებს?***

– აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ ვერ აიღებს 40%-ზე მეტს. თითქმის 60% მოსახლეობისა უარს ეტყვის „ქართულ ოცნებას“, მაგრამ მას ეს არ ადარდებს, აბსოლუტურად ფეხებზე დაიკიდებს ამ ყველაფერს. მისთვის მთავარია, გაიმარჯვოს, ოპოზიციას აჯობოს და თუგინდ 30% აიღოს. ერთი ცხადია, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ აიღებს მასზე მეტს და მას ესეც აკმაყოფილებს. არც შემდეგი პროცესი ადარდებს, არც ოპოზიციის გამოსვლები, არც ევროპისა და ამერიკის მოწოდებები. მთავარია, როგორმე ბრმად, ყრუდ იაროს წინ და აიღოს მაქსიმალური ხმები, რომელიც იქნება სხვებზე მეტი. ეჭვი მეპარება, რომ მათ 40%-ზე მეტი გადალახონ. დანარჩენი ხალხზე იქნება დამოკიდებული. თუ საზოგადოება უკმაყოფილო იქნება შედეგებით და ქუჩაში გამოვა, აი, მაშინ დაიწყება პრობლემა. თუ ქუჩაში არ გამოვა, არანაირი პრობლემა არ იქნება. 2024 წლამდე ისე მივალთ, რომ ეს არჩევნები არავის გაახსენდება.

***– ბოლო პერიოდში სულ გვესმის შეფასებები, რომ ოპოზიცია ემზადება 3 ოქტომბრისთვის და არა არჩევნების დღისთვის. თქვენც ასე ხედავთ?***

– ოპოზიციამ ძალიან კარგად იცის, რომ ხალხს ქუჩაში ვერ გამოიყვანს. 3 ოქტომბერი არაფერს ნიშნავს. 3 ოქტომბრისთვის კი არ უნდა ემზადებოდეს ოპოზიცია, სამიდან, ვიდრე არ მოხდება „ქართული ოცნების“ დემონტაჟი ან მინიმუმ ერთი თვე მაინც იქნება საჭირო ბრძოლა. ერთი თვე 50 ათასი კაცი დღე და ღამე ქუჩაში უნდა იდგეს. შეუძლია ოპოზიციას ერთი თვის განმავლობაში, დღისით და ღამით ქუჩაში გამოიყვანოს ხალხი?! მაქსიმუმ 5 ათასი კაცი, მეტი არ გამოვა. ეს ძალიან კარგად იცის „ქართულმა ოცნებამ“. მას არ ადარდებს საქართველო, მას არ ადარდებს სიღარიბე, საერთოდ არაფერი არ ადარდებს. მას ადარდებს მხოლოდ ძალაუფლების ფლობა. ძალიან კარგად იციან, რომ ხალხისთვის ისინი მიუღებლები არიან. ამას აჩვენებს არჩევნები. არჩევნები აჩვენებს იმასაც, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი ხმას აღარ აძლევს „ქართულ ოცნებას“, თუმცა გააკეთებენ სკვერებს, გზებს, გვირაბებს და ამით მოახერხებენ რაღაცნაირად ხალხის ყურადღების მოდუნებას, განსაკუთრებით კი რეგიონებში. ასე რომ, ეჭვი მეპარება, ოპოზიციის მოლოდინი გამართლდეს. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ჯამური ხმები იქნება გაცილებით მეტი, ვიდრე „ოცნებისა“, ოპოზიცია ამ ჯამურ ხმებს ვერ გამოიყენებს.

***– მოსახლეობაც აღარაფერს აპროტესტებს. თუნდაც იმავე მოსმენებთან დაკავშირებით რამხელა აჟიოტაჟი ატყდა და ესეც ისევე მინელდა, როგორც ბევრი სხვა რამ. გამოდის უშიშროების ხელმძღვანელი და აცხადებს მე რა შუაში ვარ, რატომ უნდა დავიკითხოო. ეს ნორმალური სიტუაციაა?***

– ეს ამორალურია. არანორმალური სიტუაციაა! სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე უსმენენ, მაგალითად, დიპლომატებს. ასევე აბსოლუტურად უაზროდ უსმენენ სამღვდელოებას, რათა შეძლონ მათი კომპრომეტირება. უაზროდ ხარჯავენ მილიონებს, რომლებიც გამოყოფილია იმისთვის, რომ დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები. ესენი რას აკეთებენ? ლოგინებსა და სხვა ინტიმურ ადგილებში დასდევენ ამა თუ იმ პირებს. საზოგადოებას ეს ყველაფერი არ ადარდებს. ძირითადად ხალხში ასეთი განწყობაა – მე არა ვარ ისეთი პირი, ვისაც უნდა მისმენდნენ და ვისაც უსმენენ, ალბათ, უნდა უსმენდნენო – დაახლოებით ასეთი მიდგომა აქვთ.

***– კალაძემაც ზუსტად იგივე განაცხადა, ვინც მოსასმენია, იმას ვუსმენთო.***

– ეს წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ეს. სად არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც უფლებას აძლევს უშიშროებას, მოუსმინოს ამა თუ იმ ეპისკოპოსს? აი, რა შავ ქვად მინდა მე ამა თუ იმ ეპისკოპოსის ლაპარაკი. საშინელება, იცით, რა არის? რომ ყველაფერს უსმენენ, აბსოლუტურად უაზრო და არაფრისმომცემ დიალოგებსაც კი.

**„2024 წლამდე არჩევნების თვალსაზრისით არაფერი შეიცვლება, ხელისუფლებაში კვლავაც „ოცნება“ დარჩება“**

***– დიპლომატების მოსმენა საკმაოდ მძიმე ფაქტია. რა რეაქცია მოჰყვება ამას დასავლეთიდან?***

– საკმაოდ მძიმეა. დასავლეთი კი იფიქრებს, რომ საქართველო არის ველური სახელმწიფო და მისგან არაფერი გამოვა. ეს ყველაფერი, რომ ჩვენ ნატოში მივდივართ, ევროკავშირისკენ მივდივართ, არის ყბედობა და ეს არის სასაცილო. ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ჩვენი ხელისუფლება კი, თავის მხრივ, კარგად აბოლებს საქართველოს მოსახლეობას. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნატოში არ მიდიოდნენ და იპოვეს ახლა ასე ადვილად წამოსარტყმელი რუსეთი, რომელსაც, რასაც უნდათ, იმას აბრალებენ, მაშინ როდესაც ჩვენშია მანკიერება და სიმახინჯე. ეს ტერმინი ძალიან კარგად შემოიტანა პოლიტიკაში ირაკლი კობახიძემ. სრულიად მახინჯი მმართველობაა. ათას სიბინძურეს სჩადიან და აბრალებენ რუსეთს. ამ დროს რუსეთი ძალიან ბედნიერია, რუბლსაც კი არ ხარჯავს იმაში, რომ საქართველო იყოს იმ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს არის. ივანიშვილს ვაბრალებთ, რომ არაფერი შეასრულა, რაც დაგვპირდა. მან კარგად შეასრულა ერთი დაპირება – შუა გაკრიფა!

***– დღესაც აქეთ მიდის სიტუაცია, რომ კვლავ ორპოლუსიანი იყოს არჩევნები.***

– რა თქმა უნდა, ასეა. ივანიშვილმა პირდაპირ თქვა ეს, არ დაუმალავს. მისი სურვილი იყო, მოეშანთა პოლიტიკური სისტემა და მოშანთა კიდეც, ისიც თქვა, უცხოეთში გაგიშვებთ სამუშაოდ, აქ ვერ მოგცემთ სამუშაო ადგილებსო. ხალხს ყრის საქართველოდან. ეს ადამიანი თავის მანკიერ პირობებს ასრულებს, მუდმივად სპობს, შანთავს ნებისმიერ პოლიტიკურ ველს, რათა საქართველოში არსებობდეს მხოლოდ „ქართული ოცნება“, რომელიც არაფრის გამკეთებელი არ არის და ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მკვდარია და ძალით აცოცხლებს „ოცნება“, რათა მას დააბრალოს ყველაფერი. მკვდარს რომ კოსტიუმს ჩააცმევენ და გიტარას დააჭერინებენ, ვითომ ცოცხალიაო, აი, ამ დონეზე დაიყვანა „ოცნებამ“ ნაციონალები. ეს ტაკიმასხარა სააკაშვილი კიდევ რომ ჩამოდის და თან არ ჩამოდის. თუ ჩამოსვლა უნდოდა, ამდენ ხანს უნდა ჩამოსულიყო. აი, ამ ტაკიმასხარა სააკაშვილზე ააგო მთელი თავისი პოლიტიკა. არავითარი სიღარიბე, არავითარი განვითარება. ვიდრე ნაციონალური მოძრაობა არსებობს, „ქართული ოცნება“ ბედნიერია.

***– მთავარი საფრთხეა ნაციონალური მოძრაობა...***

– აბა რა. ეს აწყობს „ოცნებას“. დაჩუტული საბურავი რომ არის და, თუ რეგულარულად არ გაბერე, მუდმივად დაიჩუტება, ეს არის დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა. მას მუდმივად ბერავს „ქართული ოცნება“ და, როგორც კი გაუშვებს ხელს, მაშინვე იჩუტება. საკმარისია, ორი-სამი კვირა არ ილაპარაკონ ნაციონალურ მოძრაობაზე, რომ საერთოდ აორთქლდება ეს პოლიტიკური ძალა ქართული პოლიტიკური სივრციდან.

***– ოპოზიციაზე ვსაუბრობთ და აქვე გახარიაზეც გკითხავთ, ის აქამდე არ აკრიტიკებდა ივანიშვილს და პირველი შემთხვევა იყო, როცა ივანიშვილზე საყვედური თქვა. დიდი ამბავი ატყდა „ოცნების“ მხარდამჭერებში, უმადური გახარია, როგორ გაბედა ბიძინას კრიტიკაო.***

– მე არ დავეთანხმები ამ შეფასებებს, რადგან ეს არის შედარებით მშვიდი და უბოროტო შეფასება, რომ მან არ გაამართლა ჩვენი იმედები. გახარიას არ დაუბრალებია, რომ მან დააქცია ჩვენი ქვეყანა ან რუსეთისკენ წაიყვანა, არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს. ის შეეცადა, ყველაზე უფრო ნეიტრალური ფორმით გაეკრიტიკებინა. გახარია არ მოიჭრის ივანიშვილთან მისასვლელ გზებს. ამ ფრაზაში ტრაგიკული მოვლენას ვერ ვხედავ.

***– ანუ არ დაარტყამს მწვავედ ივანიშვილს?***

– არა, არ დაარტყამს. მას, პირიქით, უნდა, შეუქმნას ივანიშვილს განცდა, რომ მდინარაძე-კობახიძის გუნდია მმართველობის მახინჯი ფორმა და ადრე თუ გვიან ივანიშვილს მოუწევს მათგან დისტანცირება და სხვასთან შეკვრა. ამ შემთხვევაში კი ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება გახარია და კალაძე. დღეს კობახიძე-მდინარაძის სახით ძალიან მახინჯი ცენტრი იქმნება და ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა აწყობდეს ივანიშვილს. 2024 წლამდე არჩევნების თვალსაზრისით არაფერი შეიცვლება, კვლავაც „ოცნება“ დარჩება ხელისუფლებაში და ყველანი ასე გაღიმებული დავრჩებით.

# გახარიამ კობახიძეს პროკურატურაში უჩივლა



ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გენერალურ პროკურატურას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მიერ მასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართავს.

საგამოძიებო უწყებაში განცხადება გუშინ, 27 სექტემბერს, პარტია „საქართველოსთვის“ წევრებმა ანა ბუჩუკურმა და მიხეილ დაუშვილმა შეიტანეს.

საქმე ეხება განცხადებებს, რომლებშიც კობახიძემ გახარიას „კოკაინშიკი“ უწოდა და მის ნარკოდამოკიდებულებასთან დაკავშირებით გამოთქვა ეჭვი.

უფრო კონკრეტულად, გახარიას პარტია პროკურატურისგან ითხოვს, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება ირაკლი კობახიძის მიერ გაჟღერებულ დანაშაულის შემცველ ინფორმაციაზე, გამოიკითხოს ირაკლი კობახიძე, ჩაატარონ დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება და დანაშაულის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, დააყენონ ცრუ დასმენაზე კობახიძის პასუხისმგებლობის საკითხი.

– გენერალურ პროკურატურას მივმართეთ, რათა ჩაატაროს ობიექტური, გამჭვირვალე, სრულყოფილი და ეფექტური გამოძიება და გამოიძიოს ის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო, უსაფუძვლო განცხადებები, რასაც ჩვენ ორგანიზაცია „ოცნების“ ხელმძღვანელისგან, ირაკლი კობახიძისგან გიორგი გახარიასთან დაკავშირებით ვისმენთ. ბოლო პერიოდის განმავლობაში მუდმივად გვაბრალებენ ნარკოტიკის მოხმარებას, შეძენას და ა.შ. ცალსახად, ამ ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს და სრულყოფილი, ობიექტური და გამჭვირვალე გამოძიების შემდეგ, როცა დადგინდება, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა, რა თქმა უნდა, უნდა დადგეს ირაკლი კობახიძის პასუხისმგებლობის საკითხიც ცრუ დასმენასთან დაკავშირებით, – განაცხადა მიხეილ დაუშვილმა.

# მიხეილ სარჯველაძე: „შეგვეშალა, როცა ბევრი რამ გახარიაზე გვქონდა მინდობილი“



– მსგავსი ტიპის საყვედურის თქმა ჩვენ მიმართაც შეიძლება – ნამდვილად შეგვეშალა, როცა ძალიან ბევრი რამ გიორგი გახარიაზე გვქონდა მინდობილი.

ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ დეპუტატი მიხეილ სარჯველაძე „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის, გიორგი გახარიას განცხადებას, რომლის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილმა ნდობა არ გაამართლა.

როგორც სარჯველაძემ აღნიშნა, ასეთი მსჯელობა აბსოლუტურად მიუღებელია.

– სასიამოვნო მოსასმენი ნამდვილად არ არის, როცა ასეთი სახეცვლილება მერკანტილური მოტივებიდან გამომდინარე აქვს, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

რაც შეეხება ირაკლი კობახიძის ბრალდებებთან დაკავშირებით გახარიას მიერ პროკურატურისათვის მიმართვას, სარჯველაძის თქმით, აღნიშნული თემისგან ამხელა ამბის შექმნა არ ღირს და ეს თავად გახარიასთვის არ არის პროდუქტიული.

– თვალი გადაავლეთ, ნარკოტესტზე საუბარი როგორ დაიწყო და შემდეგ როგორ განვითარდა ყველაფერი. ამ თემაზე ბევრი საუბარი სასარგებლო არც ოპონენტებისთვის იქნება, რადგან ამ შემთხვევაში მთავარი შემოქმედები და საზოგადოებაში ეჭვის გამჩენი თავად იყვნენ და ამ ნარატივს აგრძელებენ. არ მგონია, ამ საუბრის გაგრძელება მათთვის პროდუქტიული იყოს და სამართლებრივი თვალსაზრისით პერსპექტიული იყოს, რადგან ეს განცხადება ბევრ უხეშ შეცდომას მოიცავს, – აღნიშნა მიხეილ სარჯველაძემ.

„საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარიამ „ფორმულას“ ეთერში განაცხადა, რომ „ბიძინა ივანიშვილმა ნდობა არ გაამართლა“, არა მარტო მისი, არამედ მოქალაქეების.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არ გამიკვირდება, რომ გახარიას წინააღმდეგ საქმე აღძრან“

## გია ნოდია: „ოცნებამ“ 40%-ზე მეტი არ უნდა აიღოს, მაგრამ ეცდება, ვადამდელზე არ წამოვიდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

**რომელ კვლევას უნდა ვენდოთ და ხდება თუ არა კვლევებით მანიპულაცია? რა გველოდება არჩევნებზე და როგორ ფიქრობს, რამდენ პროცენტს აიღებს მმართველი პარტია? წავა თუ არა „ოცნება“ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და ხომ არ აღძრავენ საქმეს გიორგი გახარიას წინააღმდეგ? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს.**

***– არჩევნებამდე რამდენიმე დღე რჩება და ბრძოლას ვხედავთ რეიტინგებშიც. ვხედავთ განსხვავებულ შედეგებს. რომელს უნდა ვენდოთ რეალურად ამომრჩეველი?***

– ჩვენ ყველამ ინდივიდუალურად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, ვის ვენდოთ და ვის – არა. მე ნამდვილად ვერავის მოვუწოდებ, რომ ამას ენდონ, მაგრამ უნდა გამოვიდეთ იქიდან, წარსულში ვისი კვლევები აღმოჩნდა უფრო ახლოს რეალობასთან. კი, კვლევები ხშირად მანიპულაციის შედეგია. მაგალითად, როდესაც რომელიმე პარტია წინასაარჩევნოდ აქვეყნებს თავის შიდაკვლევებს ან ამბობს, ჩვენი კვლევებით ასეაო, ეს ცალსახად მიკერძოებულია. მე, პირადად, ასეთ კვლევებს არ ვითვალისწინებ, იმიტომ, რომ როდესაც პარტია აქვეყნებს კვლევებს, ეს არის პარტიული პროპაგანდა. სხვანაირად შეუძლებელია იყოს, მაგრამ, როდესაც დამოუკიდებელი ორგანიზაციების კვლევებია და ვიცით ამ ორგანიზაციების გამოცდილება წარსულში, მაშინ საფუძველია, რომ მას ვენდოთ.



***– კი მაგრამ, როდესაც ხელისუფლება გამოხატავს მათ მიმართ ნაკლებ ნდობას, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მმართველ პარტიას ეს რეალობა არ აწყობს? „იფსოსის“ კვლევაზე პრემიერმა თქვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციას არიან ამოფარებული და რეალურად მას ატარებს თარხნიშვილი. ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

– ხელისუფლებას აქვს თავისი საკმაოდ თანმიმდევრული პოზიცია. ის არასოდეს ენდობა კვლევებს, რომლებსაც თვითონ არ ატარებს და რომლებშიც ის თვლის, რომ მისთვის არასასიამოვნო შედეგებია დაფიქსირებული. აბრალებს ამას ენდიაისაც, აირაისაც, „ფორმულასაც“. გასაგებია, რომ „ფორმულა“ ქართული ტელევიზიაა და შეიძლება, რაღაც დააბრალო. მე არ ვამბობ, რომ ეს დაბრალება სწორია, მაგრამ ფსიქოლოგიურად გასაგებია, რომ დააბრალო, მაგრამ ენდიაის და აირაის ნამდვილად არ აქვთ საფუძველი, გააყალბონ საქართველოში კვლევები, მაგრამ ხელისუფლება მათ ამას მაინც აბრალებს. ხელისუფლება როდესაც ამას ამბობს, ესეც მისი თანმიმდევრული პოლიტიკაა და ამას მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ.

***– თუმცა მე ვერ ვიტყოდი, რომ თანმიმდევრული პოლიტიკა აქვს „ოცნებას“ ამ მიმართულებით, იმიტომ რომ, როდესაც მათთვის მისაღები შედეგები იდებოდა, მაშინ, პირიქით, ამით თავს იწონებდნენ.***

– კი, ეგ მართალია. ამიტომ ვთქვი, რომ როდესაც არ მოსწონთ, მაშინ არიან თანმიმდევრულები და მაშინ არ ენდობიან, მაგრამ, თუ მათთვის მოსაწონი შედეგია, რაც იშვიათად ხდება, მაშინ სხვანაირად უყურებენ.

***– თქვენ ელოდებით, რომ კიდევ რაღაცა შეიცვლება არჩევნებამდე დარჩენილ დროში?***



– ხალხის განწყობაში?

***– დიახ, რაც გავლენას მოახდენს შედეგებზე.***

– გამორიცხვა არასოდეს არაფრის არ შეიძლება. 5 დღე ძალიან ცოტაა, მაგრამ სულ არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ჰქონდეთ მომზადებული, განსაკუთრებით კი – ხელისუფლებას, რაც, მათი აზრით, იქნება სენსაციური ინფორმაცია, მაგრამ ამის წინასწარმეტყველებაც არ შემიძლია. ჩემი აზრით, რაღაც განსაკუთრებული და მოულოდნელი თუ არ მოხდა, ამომრჩეველთა დიდ უმრავლესობას მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული აქვს აზრი, ვის მისცემს ხმას, თუმცა უფრო მეტად ჩამოყალიბებული აქვს აზრი, ხელისუფლებას მისცეს ხმა თუ ოპოზიციას. შესაძლოა, ჯერ კიდევ არ ჰქონდეს ბევრს ჩამოყალიბებული აზრი, კონკრეტულად რომელ პარტიას მისცეს ხმა.

***– რამდენ პროცენტს აიღებს „ქართული ოცნება“?***

– ძნელი სათქმელია, მაგრამ, ჩემი აზრით, წესით, 40%-ზე მეტი არ უნდა აიღოს „ქართულმა ოცნებამ“, თუ სხვადასხვა კვლევას დავეყრდნობით.

***– შემდეგ წამოვა ვადამდელზე მმართველი პარტია?***

– ეგ სხვა საკითხია. ის, რა თქმა უნდა, ეცდება, არ წამოვიდეს. არ მაქვს პროგნოზი ამაზე, საბოლოოდ დასთანხმდება თუ არა, მაგრამ, შემიძლია გითხრათ, რომ ნორმალური ცხოვრება არ გვექნება, რა შედეგიც არ უნდა დაიდოს ამ არჩევნებზე.

***– ამ არჩევნებზე „ოცნების“ მთავარი სამიზნე რატომ გახდა გიორგი გახარია?***

– იმიტომ, რომ ეს არის ახალი ფაქტორი და ძალიან მძიმე ფაქტორი „ქართული ოცნებისთვის“, რადგან ის ხმებს ართმევს „ქართულ ოცნებას“. შესაბამისად, სწორედ გახარიაა ის ფაქტორი, რის გამოც მათი შედეგი იქნება უფრო დაბალი, ვიდრე დადგა საპარლამენტო არჩევნებზე. რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთადერთი ფაქტორი, თუმცა მმართველ პარტიაში თვლიან, რომ ერთ-ერთი ფაქტორია ეს.

***– ელოდებით, რომ არჩევნების შემდეგ ისევ გაგრძელდება თავდასხმა გახარიაზე? მაგალითად, პრემიერმა ნამახვანჰესთან დაკავშირებით ისაუბრა ცუდ მემკვიდრეობაზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქმეც შეიძლება აღძრან გახარიას წინააღმდეგ?***

– ეგ ნამდვილად არ გამიკვირდება. პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური ფიგურის წინააღმდეგ ცდილობენ საქმის აღძვრასა და რაღაცის გამოჩხრეკას, შესაბამისად, რატომ არა გახარიას წინააღმდეგ.

***– ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ვადამდელი არჩევნებისთვისაც ემზადებიან და იტოვებენ კოზირებს შემდეგ ბრძოლაში გახარიას წინააღმდეგ?***

– იცით რა არის? ის კი არ არის, რომ ვადამდელზე სჭირდებათ გახარიას წინააღმდეგ შეტევა და ამიტომ აღძრავენ საქმეს გახარიაზე, რა თქმა უნდა, ჰიპოთეტურად ვამბობ. თუ აღძრავენ, ამას გააკეთებენ ოპოზიციის დასასუსტებლად.

***– გახარიას დასუსტება მთლიანად ოპოზიციის დასუსტებასაც ნიშნავს?***

– რა თქმა უნდა. „ქართული ოცნების“ რიტორიკაში ასეა. ვნახეთ ხომ, სისხლიან ბანერებზე სააკაშვილი და გახარია ერთად არიან. მათ ცნობიერებაში ასეა. არ ვიცი, სჯერათ თუ არა, მაგრამ ეჭვი მაქვს, ბევრს სჯერა იმის, რომ სააკაშვილი და გახარია ფარულ გარიგებაში არიან ერთმანეთთან.

***– რას ელოდებით ამ არჩევნებზე, გვექნება თუ არა მუშტი-კრივი?***

– იმედი მაქვს, რომ ბევრი მუშტი-კრივი არ გვექნება, მაგრამ მთლად უმაგისობას ველოდები-მეთქი, რომ გითხრათ, ასე არ არის. არ არის აუცილებელი, არჩევნების დღეს იყოს, შესაძლოა, არჩევნების წინა დღეს იყოს ან შემდეგ დღეებში.

სამწუხაროდ, ასეთი შიშის საფუძველი არსებობს.

# „გახარია „ოცნებასთანაც“ ივაჭრებს და ნაციონალებთანაც“

## ლევან ალაფიშვილი: „ამ არჩევნებზე მთავარია, ვინ დაიკავებს მესამე ადგილს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, „იფსოსის“ კვლევის შედეგებით, თბილისში კალაძეს აქვს 41%, მელიას – 36%, ხოლო გახარიას – 13%. ეს მონაცემები იძლევა თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ მეორე ტური გაიმართოს?***

– 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნება. ჩემს ვარაუდს ეს კვლევებიც საფუძველს მატებს. მნიშვნელოვანი იქნება არა ის, თუ ვინ გავა პირველ ან მეორე ადგილზე, უფრო მნიშვნელოვანი იქნება მესამე ადგილზე გასული კანდიდატის გადაწყვეტილება. გახარიას გათვლა სწორედ ამ ნიშის დაკავება იქნება. მისი ამოცანა იქნება, არც ერთმა და არც მეორემ მის გარეშე ვერ მიიღოს ვერანაირი გადაწყვეტილება, ანუ გავლენის მოხდენა პროცესზე.

მეორე ტურის შემთხვევაში ეს აშკარად გამოვლინდება. ის პოლიტიკურად ივაჭრებს ერთთანაც და მეორესთანაც. არ გამოვრიცხავ, თბილისის საკრებულოში უფრო მნიშვნელოვან თანამდებობებზე გააკეთოს აქცენტი, ერთისთვის ან მეორისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ მნიშვნელოვან თანამდებობებზე განაცხადოს პრეტენზია.

***– როგორ ფიქრობთ, პოლიტიკური მოცემულობა რისი ვარაუდის საფუძველს ქმნის, მეორე ტურში გახარია ვის დაუჭერს მხარს, თუ თავს შეიკავებს?***

– სხვათა შორის, მეც ვეძებდი ამ კითხვაზე პასუხს, მაგრამ გახარიამ ჟურნალისტების მიერ დასმულ ამ კითხვას ძალიან ოსტატურად აარიდა თავი. ჩემი დაკვირვებით, მიუხედავად მისი განცხადებებისა ნაციონალური მოძრაობის მიმართ, ის მაინც იტოვებს უკანდასახევ გზას, როდესაც ამბობს, რომ არავის წინააღმდეგ არ არის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ბოლომდე მაინც არ წვავს ხიდებს არც ერთ მხარესთან და პოლიტიკური მორიგებისთვის გზას იტოვებს, მიუხედავად ორივე მხრიდან მის მიმართ განხორციელებული დარტყმისა.

***– ბოლო სოციოლოგიური კვლევები ასახავს რეალურ ტენდენციებს თუ შეიძლება, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, არჩევნებმა სულ სხვა შედეგი დადოს?***

– ამ ტიპის კვლევებს ერთი სპეციფიკა აქვს. პირველი, ამომრჩევლის განსხვავებული ქცევა გამოკითხვისას და საარჩევნო ურნასთან; მეორე, ზუსტი თანხვედრა შეუძლებელია და ამიტომ ყველა კვლევას ახლავს ცდომილება.

რაც შეეხება 2012 წელს, არსებითი სხვაობის განმაპირობებელი იყო ამომრჩევლის მაღალი აქტივობა და მეორე, გამოკითხვისას სწორი პასუხის გაცემისგან თავის შეკავება. მე არ გამოვრიცხავ, ამჯერადაც იყოს მსგავსი ალბათობა. შესაძლებელია, 2 ოქტომბერს ვიხილოთ უფრო მაღალი აქტივობა და სოციოლოგიური კვლევებისგან განსხვავებული სურათი დაიდოს, თუმცა პირიქითაც შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

***– რას გულისხმობთ?***

– „ქართულმა ოცნებამ“ აქტივობა დააგდოს და სახლში დატოვოს ამომრჩეველი.

***– ოთხ დღეში ეს შესაძლებელია?***

– ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა, რასაც ნამდვილად არ ვისურვებდი, ეს არის კენჭისყრის გადადება, თუნდაც ხელოვნური საფუძვლით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ა.შ. მე არც კი ვუშვებ ამას, მაგრამ თეორიულად ამის შესაძლებლობა არსებობს. იმედი მაქვს, გონიერება გვეყოფა ყველას ერთად, რომ ამის საფუძველი არ შევქმნათ.



***– რამდენად უშვებთ, პოლიტიკური სპექტრი 3 ოქტომბრისთვის ემზადებოდეს, რომ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?***

– ამომრჩეველი ახალ, განსხვავებულ პოლიტიკურ პროცესს ელოდება. საზოგადოება პოლიტიკური სპექტრისგან განსხვავებული მიდგომის მოლოდინშია და არა იმის, რაც უკვე იყო. შეიძლება, ვიღაც განიხილავს უკიდურეს მეთოდს, ქუჩას, მიტინგებსა და ა.შ. მაგრამ მანამდე ყველა საშუალება თუ არ იქნება გამოყენებული და ამოწურული, არ ვფიქრობ, ქუჩის აქციები მასობრივი გახდეს, მით უფრო მაშინ, როდესაც გაზაფხულზე ოპოზიციამ სერიოზული შეცდომები დაუშვა, თუნდაც მიშელის დოკუმენტისთვის ხელმოწერას ვგულისხმობ, განსაკუთრებით – ამნისტიის ნაწილში.

***– ხალხი არ გამოვა ქუჩაში?***

– მასობრივი პროტესტის, მით უფრო, ქუჩიდან სერიოზული პოლიტიკური პროცესის დაწყების რესურსი არ არსებობს.

# „ოცნება“ — 36%, ნაციონალები — 27%, გახარიას პარტია — 11%

## ედისონ რისერჩის კვლევა



გუშინ, 27 სექტემბერს, ტელეკომპანია „ფორმულამ“ ედისონ რისერჩის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

კითხვაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, ვის მისცემდნენ ხმას, ალოკაციით, მოსახლეობის პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„ქართული ოცნება“ – 36%;
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 27%;
„გიორგი გახარია – საქართველოსთვის“ – 11%;
„ლეიბორისტული პარტია“ – 4%;
„ლელო“ – 4%;
„ზურაბ ჯაფარიძე – გირჩი მეტი თავისუფლება“ – 4%;
„ევროპული საქართველო“ – 2%;
„გირჩი“ – 2%;
„სტრატეგია აღმაშენებელი“ – 2%;
„პატრიოტთა ალიანსი“ – 2%;
„მოქალაქეები“ – 1%;
„ანა დოლიძე – ხალხისთვის“ – 1%;
„ელენე ხოშტარია – დროა“ – 1%;
სხვა – 3%.

„ფორმულას“ ინფორმაციით, კვლევის საველე სამუშაოები 12 სექტემბრიდან 25 სექტემბრის პერიოდში ჩატარდა. გამოიკითხა 1500 ადამიანი პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. გამოიკითხნენ 18 წელს გადაცილებული ხმის მიცემის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები.

კვლევის ცდომილების ფარგლები +/-3%-ია 95%-იანი სანდოობის დონისთვის.

# „ამ ფაილებს თავისუფლად შეგვიძლია, სააკაშვილის ფაილები ვუწოდოთ“

## ანზორ აბრალავა: „არა მგონია, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში გახარიაც ჩაერთოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე, საარჩევნო, ასევე პოსტსაარჩევნო პროგნოზებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.**



***– ბევრი კომენტატორი საუბრობს არა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, არამედ არჩევნების შემდგომ პერიოდზე. თქვენ რას ელით 3 ოქტომბრისგან?***

– გარკვეული ძალები ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას. ამას ჰაერზე არ ვამბობ. მსგავსი განზრახვები არსებობდა წინა წლებშიც, მაგრამ ჩაფლავდა. ანტისახელმწიფოებრივი გეგმა უცვლელია. 3 ოქტომბერს იქნება მისი სისრულეში მოყვანის მცდელობა.

***– რომელ ძალებზე საუბრობთ? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– რასაკვირველია, ვსაუბრობ ნაციონალურ მოძრაობაზე, ასევე – მის სატელიტებსა და მასთან დაკავშირებულ პირებზე, რომლებიც ოფიციალურად პოლიტიკოსები არ არიან. ზოგიერთი პარტია შეშინდა და გაემიჯნა ნაციონალურ მოძრაობას, თუმცა, თუ ეს ორგანიზაციები დაინახავენ, რომ ნაციონალური მოძრაობა თავის შავ გეგმებს ასრულებს, ისევ მასთან დადგებიან. ამ პოლიტიკოსებს საკუთარი კარიერის გარდა არაფერი აღელვებთ. ნორმალური პოლიტიკური პარტია ორიენტირებულია არჩევნებზე, სიტუაციის მშვიდობიანად განვითარებაზე. ნორმალური, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პარტიები არ იქცევიან ისე, როგორც იქცევა ნაციონალური მოძრაობა. ნაცმოძრაობის წევრები სახელმწიფოს ძირს უთხრიან შინ და გარეთ, აწყობენ დებოშებსა და პროვოკაციებს.

***– მმართველი პარტიაც ხომ მონაწილეობს მასთან დაპირისპირებაში? ე.წ. სუსის ფაილებზეც ხომ აგებს პასუხს „ოცნება“ და მისი ხელისუფლება?***

– სააკაშვილის აგენტურა აქეთა მხარესაც არსებობს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია. ამ ფაილებს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ სააკაშვილის ფაილები.

***– გინდათ თქვათ, რომ ამ ჩანაწერების „გამოგდება“ სააკაშვილის ორგანიზებულია?***

– რასაკვირველია. მას, როგორც გითხარით, აგენტურაც ჰყავს სხვადასხვა სფეროში. ეს ჯდება ერთიან გეგმაში და ეწერება იმაში, რასაც სააკაშვილი ნაცმოძრაობასთან ერთად არჩევნების შემდეგ აპირებს. ამით უნდა მომხდარიყო დაპირისპირება რელიგიური, სამოქალაქო მიმართულებით. სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეები ამით ხელს მოითბობდნენ.

***– თუ ასეა, ხელისუფლება რატომ დუმს?***

– არ ვიცი. ხელისუფლებამ უნდა გადადგას მკვეთრი, გადამწყვეტი ნაბიჯები და თავისი ადგილი მიუჩინოს იმათ, ვინც სახელმწიფოს არყევს.

***– ამისათვის გამოძიება მაინც უნდა დამთავრდეს.***

– გამოძიებას თავისი წესები აქვს. ისე, ყველაფერი ისედაც ცხადზე ცხადია – მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, სამხედრო გადატრიალება. შექმნილია ორი შტაბი – აქ – გვარამიას მეთაურობით, გარეთ – სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ყველაფერი კეთდება, რომ ვითარება აირიოს. პარტიას, რომელიც ქვეყანას ამდენ ზიანს აყენებს, თავისი სახელი უნდა დაერქვას. მე ასეთ პარტიას საქმიანობას ავუკრძალავდი.



***– 3 ოქტომბერს მოვლენების რომელ სცენარს ელით?***

– ნაცმოძრაობა და მისი ამფსონები ატეხენ ყიჟინას იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდა. მაგათთვის ფალსიფიცირებულია ნებისმიერი არჩევნები, რომელშიც ისინი მათთვის სასურველ შედეგს ვერ აღწევენ.

***– მათთვის სასურველი შედეგი რომელია?***

– ის პროცენტი, რომლითაც ისინი გააკონტროლებენ ქვეყნის მართვას. ამას ვერ მიაღწევენ.

***– „იფსოსის“ კვლევის თანახმად, „ქართული ოცნების“ რეიტინგია 35%, ნაცმოძრაობისა – 30%, გახარიას პარტიისა – 9%.***

– პარტიების გამოქვეყნებული ეს რეიტინგები სასაცილოა. ეს არ არის რეალობა. ამით იმის თქმა უნდათ, რომ ნაცმოძრაობა ახლოსაა გამარჯვებასთან. ესეც მომავალი დამანგრეველი გეგმებისთვის სჭირდებათ.

***– აქამდე გიორგი გახარია თავს იკავებდა ბიძინა ივანიშვილის კრიტიკისაგან. ახლა აღარ იკავებს და აცხადებს, რომ ივანიშვილმა არ გაამართლა მისი და მოქალაქეების ნდობა. რას იტყვით?***

– განსაკუთრებული არაფერი ხდება. ის, რაც გახარიამ თქვა, ჯდება დემოკრატიის ჩარჩოებში და გამოხატვის თავისუფლებაში. გახარია, სხვებისგან განსხვავებით, დესტრუქციული არ არის. არა მგონია, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში გახარიაც ჩაერიოს.

***– „ოცნების“ ლიდერები სხვანაირად ფიქრობენ. მათი სიტყვებით, გახარია და სააკაშვილი გარიგებული არიან.***

– მე ამის არ მჯერა. არ მინდა, დავიჯერო. თუ ასეთი კავშირი არსებობს, ფაქტები და მყარი არგუმენტაცია წარმოგვიდგინონ.

***– ფაილების გამომზეურების მიზანი რა იყო? რის შესრულება მოახერხეს?***

– ვითარების მაქსიმალურად დაძაბვა. როგორც ხედავთ, ქუჩაში ხალხი ვერ გამოიყვანეს. ესეც ექნებოდათ ჩაფიქრებული. არჩევნების წინ მუშტი-კრივი და გაწევ-გამოწევაც არაა შემთხვევითი. ამას თავისი მიზანი აქვს. ნაცმოძრაობას უნდა, ყველა გზით წარმოაჩინოს, თითქოს ხელისუფლება სუსტი და უსუსურია.

***– სააკაშვილი ისევ აანონსებს ჩამოსვლას.***

– ჩამოვიდეს. ჩამოვა და წავა იქ, სადაც ჯერ არს.

***– არჩევნების შედეგის თაობაზე როგორი პროგნოზი გაქვთ?***

– პირველ ადგილზე, რასაკვირველია, გავა „ქართული ოცნება“, მეორეზე, ალბათ – ნაციონალური მოძრაობა, თუმცა მისი მაჩვენებელი „ოცნებასთან“ ახლოს არ იქნება. გარკვეულ პროცენტებს აიღებენ გახარია, ასევე პარტიები, რომლებიც აფიშირებას უკეთებენ ნარკომანიას. მე მათ „ნარკომანებს“ ვუწოდებ. არა მგონია, „ევროპულმა საქართველომ“ ბარიერი გადალახოს.

# „ლილუაშვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს“

## ხატია დეკანოიძის განცხადება



ოპოზიცია სუსის უფროსის დაპატიმრებას ითხოვს. „ენმ“-ს ლიდერი, ხატია დეკანოიძე, დარწმუნებულია, რომ გრიგოლ ლილუაშვილთან ერთად უკანონო მოსმენებში ჩართული ყველა პირი უნდა დაისაჯოს.

– ლილუაშვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს და ლილუაშვილის გარდა ყველა იმ ადამიანის, ვინც უკანონოდ გვისმენდა ჩვენს ოთახებში. ლილუაშვილი არის სისხლის სამართლის დამნაშავე და ყველა, ვინც იმ ბუნაგიდან უსმენს ადამიანებს. როცა იგი ამბობს, რომ არაფერ შუაშია და დამცინავი მზერით უყურებს მოსახლეობას, ბევრი ადამიანი გვინახავს დამცინავი ღიმილით, ლილუაშვილს დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, – თქვა ხატია დეკანოიძემ.

# „ოცნება“ ამომრჩევლებს ხმის სანაცვლოდ 50 ლარს უხდის

## მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები




ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები შიდა ქართლში – „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემის სანაცვლოდ, „ფორმულას“ ინფორმაციით, მოქალაქეებს ფულს ურიგებენ.

ხმის ღირებულება 50-დან 200 ლარამდე მერყეობს.

ჟურნალისტმა ექსპერიმენტი ჩაატარა და მმართველი პარტიის წარმომადგენლად გაეცნოს მოქალაქეს, რომელმაც ხმის სანაცვლოდ ფული აიღო.

ქალმა დაადასტურა, რომ მას ნამდვილად გადაეცა 50 ლარი იმის სანაცვლოდ, რომ არჩევნების დღეს ხმა მისცეს „ქართულ ოცნებას“.

– 50 ლარი მოვიდა ჩემამდე. ზოგს 100 ლარი დაურიგეს და მე 50, არ ვიცი, რა. კი, ხმის სანაცვლოდ, აბა, რას ვიზამ, – ამბობს ქალი „ფორმულასთან“ საუბრისას.

# დავით სოკოლოვი გარდაიცვალა



ცნობილი ტელეწამყვანი, დავით სოკოლოვი, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინფორმაციას მისი მეგობარი მაკა რაზმაძე სოციალურ ქსელში ავრცელებს.

საქართველოს ტელევიზიის დაარსების პირველივე წლებიდან დავით სოკოლოვი საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“, ასევე, არაერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის წამყვანად ათეულობით წლის განმავლობაში მუშაობდა.

ტელევიზიის პარალელურად, ის გადაცემების წაყვანას რადიოშიც აგრძელებდა.

# შს მინისტრმა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებთან, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან ერთად სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალთან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლებიც იმყოფებოდნენ.

წელს სოხუმის დაცემიდან 28 წელი გავიდა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. სოხუმისთვის ბრძოლა 1993 წლის 27 სექტემბერს ქალაქის დაცემით დასრულდა.

# ამირან გამყრელიძე კახეთში ღვინოს კრამიტით სვამს



## „ვიმსჯელეთ ვაქცინაციის გააქტიურების საკითხებზე“

სტუდია „მონიტორის“ ინფორმაციით, 25 სექტემბერს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ, თანამშრომლებთან ერთად, კოვიდრეგულაციების დარღვევით იქეიფა.

ფოტოებს სტუდია „მონიტორი“ აქვეყნებს.

გამყრელიძემ მანამდე ველისციხეში ვაქცინაციის ცენტრი მოინახულა.

კომენტარისთვის „ფორმულა“ ამირან გამყრელიძეს დაუკავშირდა, რომლის მტკიცებითაც, თანამშრომლებთან ერთად რეგულაციების დაცვით ისადილა.

– გიდასტურებთ, რომ ნამდვილად ვიყავი თანამშრომლებთან ერთად 24-ში წინანდალში კახეთის მედიასთან და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებთან შეხვედრაზე ვაქცინაციის გააქტიურების საკითხებზე. 25-ში გახლდით სოფელ ყარაჯალასა და ველისციხეში მოსახლეობასთან შეხვედრებზე და ავცერით ასევე მსურველები.

მოვინახულეთ ღვინის ძველი ქართული ტრადიციით დამზადების მუზეუმი-მარანი და ვისადილეთ ღია სივრცეში შესაბამისი რეგულაციების დაცვით. ყველა გახლავართ სრულად აცრილები. მარანმა გადაიღო რამდენიმე სამახსოვრო ფოტო, – ამბობს გამყრელიძე „ფორმულასთან“.

# პროკურატურამ მამუკა ნოზაძისა და გრიგოლ წაქაძის გამამტყუნებელი განაჩენი გადასინჯა

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ორი ფაქტი გამოავლინა და დაზარალებულების უფლებების აღდგენის მიზნით მათთვის კუთვნილი ქონების დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში ჩატარებული ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად, ყოფილი მსჯავრდებულების, ადვოკატ მამუკა ნოზაძისა და გრიგოლ წაქაძის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მამუკა ნოზაძის მიმართ გამოძიება წარიმართა ტენდენციურად და არ მომხდარა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. შესაბამისად ხელახალი გამოძიების შედეგად გამოირიცხა მამუკა ნოზაძის მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

პროკურატურა სააპელაციო სასამართლოს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის შუამდგომლობებით მიმართავს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2009-2010 წლებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყების მიზნით, მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთ-ერთ კერძო კომპანიასთან, რომელსაც ანაკლიასა და მის მიმდებარედ პორტის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ფართობი უნდა გამოყოფოდა. მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და ინვესტორისთვის გადაცემას კი ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობის გარკვეული ნაწილი ირიცხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებად და ისინი შესაბამისი კომპენსაციის მიღების გარეშე საკუთრებას არ თმობდნენ.

პროცესის გამარტივების და მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემისგან თავის არიდების მიზნით, იმჟამინდელი ხელისუფლების ცალკეული მაღალი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა დანაყოფმა, საკუთრების უფლების უხეში დარღვევით, მესაკუთრეთა ნების საწინააღმდეგოდ და მათგან ფარულად საჯარო რეესტრში ყალბი საკადასტრო ნახაზი გადაგზავნა. აღნიშნულის საფუძველზე, 2000 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა. მათ შორის აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრებლების მიწის ნაკვეთებიც, ისე, რომ მოსახლეობას რაიმე სახის კომპენსაცია არ მიუღია, რითაც უხეშად დაირღვა მათი საკუთრების უფლება.

სახელმწიფოს საკუთრებაში უსაფუძვლოდ დარეგისტრირებულ ნაკვეთებს შორის მოექცა მურთაზ ჯოლოხავას კანონიერ მფლობელობაში არსებული, ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელში მდებარე 16.107 კვ.მ. ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.



რაც შეეხება ბორჯომის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2006 წლის 2 თებერვალს მოქალაქე ციალა ხორგუანმა ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში კერძო პირისაგან საკუთრების უფლებით შეიძინა 831 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. 2006 წლის აგვისტოს ბოლოს მას დაუკავშირდა სამართალდამცავი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირი და უთხრა, რომ დასახელებული მიწის ნაკვეთი შეძენილი ჰქონდა არაკანონიერად და მოსთხოვა სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ დაიწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა. ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად ციალა ხორგუანი იძულებული გახდა, დასთანხმებოდა მოთხოვნას. 2006 წლის 1-ელ სექტემბერს იგი დაიბარეს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში, სადაც გამოცხადდა აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი, რომლის მონაწილეობითაც შედგა მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის ჩუქების ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ციალა ხორგუანის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა სახელმწიფო. დეპარტამენტი მიმართავს სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს, რათა დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდეთ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული აღნიშნული მიწის ნაკვეთები.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა გამოძიების დასრულების შემდეგ მათ მიმართ მიიღებს შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

საქმეზე პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას და აღნიშნული დანაშაულებრივი სქემით ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები ასევე ეტაპობრივად დაუბრუნდებათ სხვა დაზარალებულ მოქალაქეებსაც, რასთან დაკავშირებითაც პროკურატურა პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში ჩატარებული ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად ყოფილი მსჯავრდებულების მამუკა ნოზაძისა და გრიგოლ წაქაძის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

აღნიშნულ საქმეებზე დადგენილი და დაკითხული იქნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები. მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე გამოირიცხა ხსენებული პირების მიერ რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

2006 წელს მამუკა ნოზაძე გასამართლებულ იქნა მ.მ.-სთან ერთად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ძვ. რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

იმჟამინდელი გამოძიება მას ედავებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის მიმართ საადვოკატო ფუნქციების განხორციელებისას ჩადენილ თაღლითობას, რაც გამოიხატებოდა არაშესაბამის საბანკო ანგარიშზე დაკისრებული გირაოს თანხის შეტანასა და საგამოძიებო უწყებაში დამადასტურებელი ქვითრის წარდგენაში.

სასამართლოს საბოლოო განაჩენით მამუკა ნოზაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მამუკა ნოზაძეს არანაირი შემხებლობა არ ჰქონია ბ.ვ.-ს მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან და არ ყოფილა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ხოლო ჟ.ვ.-მ უარყო მამუკა ნოზაძისთვის ფულადი თანხის გადაცემის ფაქტი. ასევე დადასტურდა, რომ მამუკა ნოზაძის მიმართ გამოძიება წარიმართა ტენდენციურად და არ მომხდარა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. შესაბამისად, ხელახალი გამოძიების შედეგად გამოირიცხა მამუკა ნოზაძის მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

რაც შეეხება ყოფილი მსჯავრდებულის გრიგოლ წაქაძის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, იგი 2008 წელს გასამართლებულ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა (ძვ. რედ.) და 362-ე მუხლის 2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

გამოძიება გრიგოლ წაქაძეს ედავებოდა, რომ მან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა არასრულწლოვან ც.ხ.-ს მშობლებთან მ.ხ.-სა და ჯ.ხ.-თან, რომელთაც ასესხა ფულადი თანხა, სესხის უზრუნველყოფის მიზნით კი იპოთეკით დაიტვირთა ც.ხ.-ს კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. თითქოს მ.ხ.-სა და ჯ.ხ.-გან მალულად, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულების შესრულების ვადა – 6 თვე გადაკეთებული იქნა 2 თვედ, რა ვადაშიც მოვალეებმა ვალდებულება ვერ შეასრულეს. საბოლოოდ, ნოტარიუს მ.გ.-ს, მაკლერების გ.ჟ.-ს, ნ.ლ.-ს და ლ.კ.-ს, ასევე გრიგოლ წაქაძის დანაშაულებრივი ქმედებით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ყალბი ჩანაწერის საფუძველზე, გრიგოლ წაქაძე გახდა ც.ხ.-ს კუთვნილი 50.000 ლარად ღირებული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის განაჩენით გრიგოლ წაქაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით კი დადასტურდა, რომ სანოტარო აქტში ხელშეკრულების შესრულების ვადად „2 თვე“ ჩაიწერა მოვალეთა თანხმობით. ასევე დადასტურდა, რომ გრიგოლ წაქაძის მიმართ გამოძიება წარიმართა ტენდენციურად და არ მომხდარა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, შესაბამისად, ხელახალი გამოძიების შედეგად გამოირიცხა გრიგოლ წაქაძის მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულების უფლებების არსებითად დარღვევის შესახებ. შესაბამისად, პროკურატურა მიმართავს სააპელაციო სასამართლოს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის შუამდგომლობებით“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## იარაღის უკანონო შეძენა-გასაღების ბრალდებით 5 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ბრალდებით სხვადასხვა დროს თბილისში 5 პირი დააკავა.

„ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ე.გ. თბილისში დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკისას, „ჩეზეს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ასევე, დაკავებულია 1982 წელს დაბადებული დ.დ., რომელიც ცეცხლსასროლ იარაღებს ყიდულობდა, იფორმებდა თავის სახელზე, შემდეგ იარაღის საიდენტიფიკაციო ნომერს შლიდა და სხვადასხვა პირზე მის მართლსაწინააღმდეგო რეალიზაციას ახდენდა.

პოლიციამ, დაკავებული დ.დ.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის 8 ცეცხლსასროლი იარაღი, 3 სანადირო თოფი, 8 მჭიდი, 5.636 სხვადასხვა კალიბრის საბრძოლო ვაზნა და მის სახელზე გაცემული იარაღის 72 სარეგისტრაციო მოწმობა ამოიღო.

სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1978 წელს დაბადებული დ.ბ.-ის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, გადაჭრილი სანადირო თოფი – „აბრეზი“, „ბრაუნინგის“ ტიპის პისტოლეტი, 9 ვაზნა და 1 მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ, 1992 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ ნ.დ.-სა და 1981 წელს დაბადებულ გ.ჟ.-ს ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედებათ.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 5 საბრძოლო ვაზნა“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ალექსანდრე დარახველიძემ UNICEF-ის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ მონაწილეობა მიიღო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით გამართულ ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაში – „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“.

კონფერენციის მიზანი იყო ბავშვის უფლებების შესახებ სწავლებისა და სწავლისთვის შესაბამისი სივრცის უზრუნველყოფა და მომავალი სპეციალისტებისთვის აღნიშნული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობის მიცემა. მინისტრის მოადგილემ კონფერენციის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გამჭვირვალედ და კანონთან სრული შესაბამისობით წარმოების მიზნით უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, აკადემიის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების სწავლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, გამოძიების მონიტორინგის გზით, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის მოადგილემ, თემურ მაღრაძემ, კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით აკადემიაში არსებულ სახელმძღვანელოზე, სასწავლო პროგრამებსა და დაგეგმილ აქტივობებზე.

კონფერენციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ პროფესორები და სტუდენტები, მთავრობის და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, გაეროს სააგენტოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებლები და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

## 20 წლის ლ.ჩ.-მ მანქანა გატეხა და იქიდან ნივთები მოიპარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ლ.ჩ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1977 წელს დაბადებული დ.ქ.-ს კუთვნილი ავტომობილის უკანა მინა ჩაამსხვრია, სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

„გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ქალი გაკოჭეს და გაძარცვეს

### მარნეულში 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, 4 პირი: 1995 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ფ.ო., 1998 წელს დაბადებული ი.ი., 1985 წელს დაბადებული შ.ჰ. და 1975 წელს დაბადებული ფ.მ. დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაშია ნათქვამი, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში მცხოვრები მოქალაქის – 1950 წელს დაბადებული მ.ბ.-ის საცხოვრებელ სახლში ყაჩაღობის მიზნით უკანონოდ შეაღწიეს. უწყების ცნობით, თავდამსხმელებმა ქალი გაკოჭეს, დანის გამოყენების მუქარით უკანონოდ დაეუფლნენ სახლში არსებულ 1.000 ლარზე მეტ თანხას, 3.000 ლარამდე ღირებულების ოქროს სამკაულებსა და სხვა ძვირფასეულობას, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

„სამართალდამცველებმა, საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოთხივე ბრალდებული დააკავეს. პოლიციამ ყაჩაღობის გზით დაუფლებული სამკაულების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# გერმანიის ახალი კანცლერი შეიძლება ოლაფ შოლცი გახდეს

გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 25.8%-ით მემარცხენე-ცენტრისტული „სოციალ-დემოკრატები“ ლიდერობენ, მეორე ადგილზეა მემარჯვენე-ცენტრისტული „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა“ და „ქრისტიან-სოციალური კავშირის“ ბლოკი, რომელმაც არჩევნებში ხმების 24.1% მოიპოვა.

ხმების თითქმის 14% მოიპოვეს „მწვანეებ-



მა“, ბიზნესის მხარდამჭერმა „თავისუფალმა დემოკრატებმა“ – 11.5%, ულტრამემარჯვენე პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ კი – 10.5%.

გერმანიის ბუნდესტაგში ადგილები შემდეგნაირად ნაწილდება:

„სოციალ-დემოკრატები“ – 205 ადგილი; მმართველი „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალური კავშირის“ ბლოკი – 194 ადგილი; „მწვანეები“ – 116 ადგილი; „თავისუფალი დემოკრატები“ – 91 ადგილი; „ალტერნატივა გერმანიისთვის“ – 84 ადგილი; „სოციალისტი მემარცხენეები“ – 39 ადგილი.

ანგელა მერკელის კონსერვატიული ბლოკის მიმართ მხარდაჭერა წინა არჩევნებთან შედარებით 8%-ზე მეტით შემცირდა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე უარესი შედეგია მისთვის.

ბუნდესტაგი გერმანიის კანცლერს მანამდე არ აირჩევს, სანამ მმართველი კოალიცია არ შეიქმნება. ამას შეიძლება თვეები დასჭირდეს. ახალი კანცლერის არჩევამდე კანცლერის მოვალეობას ანგელა მერკელი შეასრულებს.

მემარცხენე-ცენტრისტული „სოციალ-დემოკრატების“ კანცლერობის კანდიდატი ოლაფ შოლცი იმედოვნებს, რომ კოალიციის შექმნასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები საშობაოდ დასრულდება.

ოლაფ შოლცი აცხადებს, რომ ის კოალიციის შექმნას „მწვანეებთან“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ გეგმავს.

მისივე თქმით, გერმანელებმა ხმა მისცეს ანგელა მერკელის კონსერვატიული ბლოკის ოპოზიციაში გადანაცვლებას.

– რასაც თქვენ ხედავთ, არის ძალიან გახარებული „სოციალ-დემოკრატიული პარტია“. ამომრჩეველმა ძალიან მკაფიოდ ისაუბრა: მათ გააძლიერეს სამი პარტია – „სოციალ-დემოკრატები“, „მწვანეები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, ამიტომ ეს არის ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ მონიჭებული მკაფიო მანდატი: მომავალი მთავრობა ამ სამმა უნდა ჩამოაყალიბოს, – აღნიშნა შოლცმა.

# ლიონში მაკრონს კვერცხი ესროლეს

საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს ლიონში კვერცხი ესროლეს.

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც პრეზიდენტმა ერთ-ერთ ღონისძიებაზე შეკრებილ მოქალაქეებს მიმართა და საუბრის დასრულების შემდეგ ადგილს ტოვებდა.

მომხდართან დაკავშირებით დაცვის სამსახურმა ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა.

# შვეიცარიაში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს

შვეიცარიაში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა. ეს დაადასტურა ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის წინასწარმა შედეგებმა.

წინასწარი მონაცემებით, ერთსქესიანთა ქორწინებას მხარი დაუჭირა 55%-მა.

# საბერძნეთში, კრეტაზე, მიწისძვრა მოხდა

## 1 ადამიანი დაიღუპა

საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, 5.8– ბალიანი მიწისძვრა მოხდა. გარდაიცვალა 1 და დაშავდა მრავალი ადამიანი. დაზიანდა სახლები და ეკლესიები.

მიწისძვრის შედეგად ქვეყნის 4 ყველაზე დიდ ქალაქში ქვათა ცვენა დაიწყო, რამაც ასევე მასშტაბური ზიანი მოუტანა მოსახლეობას.

სახლებიდან და სკოლებიდან ხალხის ევაკუაცია მალევე მოხერხდა, მიწისძვრის შემდეგ მომხდარმა ბიძგებმა კი ძირითადად კუნძულზე არსებული სოფლები დააზიანა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცმა პაბში ლუდის მაგივრად წყლის გაყიდვა დაიწყო



ინგლისის ჩეშირის საგრაფოს სოფელ უაილდბორკლაფში დორან ბინდერმა ადგილობრივი პაბი შეიძინა და იქ ლუდისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მაგივრად წყლის გაყიდვა დაიწყო.

49 წლის მრავალშვილიანი მამა ბინდერი მეუღლეს გაშორდა და პატარა პაბის მეპატრონე გახდა. დაწესებულების გახსნის წინ მან ჩვეულებრივი ონკანის წყალი ანალიზების გასაკეთებლად ჩააბარა იმის გასარკვევად, უსაფრთხო იყო თუ არა მოსახმარებლად. საბოლოოდ გაირკვა, რომ პაბის ქვეშ 27 მეტრის სიღრმეზე სრულიად სუფთა სასმელი წყალი მიედინებოდა. ინგლისელმა აღნიშნა, რომ ეს აღმოჩენა სასიამოვნო შემთხვევითობა იყო, რომლის შესახებაც პაბის ყიდვის დროს არაფერი იცოდა. ბინდერს მაშინვე რამდენიმე უცხოური კომპანიის წარმომადგენელმა მიმართა წყლის ექსპორტირების თაობაზე, თუმცა მამაკაცმა ამაზე უარი განაცხადა და გადაწყვიტა, საკუთარი მცირე ეკოლოგიურად სუფთა საწარმო გაეხსნა. მან პლასტმასის ბოთლების გადამუშავება და წყლის მრავალჯერადი გამოყენების ბოთლებში ჩამოსხმა და გაყიდვა დაიწყო.

დროთა განმავლობაში მისი მცირე საწარმოს შტატი გაიზარდა და ამჟამად ბინდერთან 12 კაცი მუშაობს. წელიწად-ნახევრის მუშაობის შემდეგ ინგლისელს ამერიკული კომპანია დაუკავშირდა, რომელიც ელიტური წყლით ვაჭრობს და წყლის სინჯები გამოითხოვა.

– ჩვენ რომ დღეს თქვენს წყალს ვყიდდეთ ჩვენს მაღაზიაში, 750 მილილიტრი მოცულობის ბოთლი 35-დან 50 დოლარამდე ეღირებოდა, – აცნობა ბინდერს კომპანიის წარმომადგენელმა. მხარეებმა თანამშრომლობაზე მოლაპარაკებები დაიწყეს.

# მქადაგებელმა ეშმაკისგან თავის დასაცავად საკუთარი თვითმფრინავის შესაძენი ფულის შეგროვება დაიწყო



ამერიკელმა მქადაგებელმა კენეტ კოუპლენდმა აცრები ანტიქრისტეს ბეჭდად გამოაცხადა და განმარტა, რომ მათგან თავის დასაცავად მას პირადი თვითმფრინავი სჭირდება.

ფულის შესაგროვებელ ღონისძიებაზე კოუპლენდმა განაცხადა, რომ რელიგიურმა ორგანიზაციებმა უნდა შეწყვიტონ ავიაკომპანიების მომსახურებით სარგებლობა. მისი თქმით, ეს იმითაა გამოწვეული, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო თვითმფრინავებში მხოლოდ აცრილებს აუშვებენ.

– ეს ჩემთვის ეშმაკის ნიშანია, – განაცხადა მან.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდა ტელემქადაგებელი ჯესი დიუპლანტისი, რომელიც უფრო ადრე ამტკიცებდა, რომ ჩვენს დროში იესო ქრისტე საკუთარი თვითმფრინავით ისარგებლებდა. მან განაცხადა, რომ ის მაყურებლები, რომლებიც ფულს კოუპლენდს შესწირავენ, ქრისტეს მეორედ მოსვლას აახლოებენ.

კოუპლენდი არაერთხელ გახვეულა სკანდალში იმ მრავალრიცხოვანი კერძო თვითმფრინავის გამო, რომელთაც მისი რელიგიური ორგანიზაცია ფლობს. უკვე 2008 წელს ის ხუთ თვითმფრინავს ფლობდა, რომელთაგან ერთ-ერთი 17,5 მილიონი დოლარი ღირს. 2018 წელს მქადაგებელმა მოითხოვა, რომ მისთვის მრევლს 19,5 მილიონი დოლარი გადაერიცხა ანგარის ასაშენებლად და ასაფრენ-დასაფრენი ზოლის შესაკეთებლად.

# მყვინთავებმა ზღვის ფსკერზე ძველ განძს მიაგნეს



მოყვარულმა მყვინთავებმა ესპანეთის ქალაქ ალიკანტეს სანაპიროსთან ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, ძველი რომაული ოქროს მონეტების განძს მიაგნეს და ამოიტანეს.

მყვინთავებმა ლუის ლენსმა და ცეზარ გიმენომ განძს შვიდი მეტრის სიღრმეში იმ დროს მიაგნეს, როდესაც ზღვის ფსკერს ნაგვისგან წმენდდნენ.

ლენსმა თავიდან იფიქრა, რომ თანამედროვე ათცენტიანი მონეტა იპოვა, მაგრამ, როდესაც ნავში ავიდა და მონეტა კარგად დაათვალიერა, მასზე ძველი ბერძნული თუ რომაული გამოსახულება აღმოაჩინა. ამის შემდეგ მყვინთავები ზღვაში იმ ადგილას დაბრუნდნენ, სადაც პირველი მონეტა იპოვეს და ორი საათში შვეიცარული დანისა და უბრალო იარაღების დახმარებით უძველესი განძი ამოთხარეს.

სავარაუდოდ, 53 ოქროს მონეტა ზღვის ფსკერზე IV საუკუნის ბოლოდან და V საუკუნის დასაწყისიდან იდო. ისინი შესანიშნავადაა შემონახული, რამაც მკვლევრებს მათზე გაკეთებული წარწერების წაკითხვისა და იმის დადგენის საშუალება მისცა, რომ მონეტებზე რომის იმპერატორების გამოსახულება იყო ამოტვიფრული.

ალიკანტეს უნივერსიტეტის თანამშრომლის ჯეიმზ მოლინას თქმით, ეს რომაული ოქროს მონეტების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი განძია, რომლებიც კი ოდესმე აღმოუჩენიათ ესპანეთისა და ევროპის ტერიტორიაზე.

სპეციალისტებმა შეძლეს სამი მონეტის იდენტიფიცირება, რომლებზეც გამოსახულია რომის იმპერატორი ვალენტინიან I, შვიდ მონეტაზე გამოსახულია ვალენტინიან II, 15 მონეტას ამშვენებს ფეოდოს I დიდის გამოსახულება, 17 მონეტაზე გამოსახულია ფლავია არკადია და 10-ზე – ფლავია გონორია ავგუსტი.

ნაპოვნ მონეტებს გაასუფთავებენ და ადგილობრივ მუზეუმში გამოფენენ.

# პოლიციელებმა სექსის დროს გადაბრუნებულ მანქანაში მოყოლილი წყვილი გადაარჩინეს

ინგლისის დერბიშირის საგრაფოს პოლიციამ გადაარჩინა წყვილი, რომლებიც დაღმართზე დაგორებულ და გადაბრუნებულ მანქანაში გამომწყვდეული აღმოჩნდნენ.

პოლიციელების ინფორმაციით, ტოიოტა იარისის მარკის გაჩერებულ ავტომობილში წყვილი სექსით იყო დაკავებული. სექსის დროს წყვილი შემთხვევით შეეხო ხელის მუხრუჭს. ავტომობილი ფერდობზე დაგორდა, გადაბრუნდა და გზა გადაკეტა.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად ქალი და მამაკაცი არ დაშავებულან, თუმცა დამოუკიდებლად მანქანიდან გადმოსვლას ვერ ახერხებდნენ. საბოლოოდ მათ მანქანიდან თავის დაღწევაში სამართალდამცავები დაეხმარნენ.

# გიორგი კოხრეიძე: „იმედია, მომავალში უფრო მეტს ვითამაშებ“

გასულ კვირაში გრენობლის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ქართველ ფეხბურთელ გიორგი კოხრეიძეს, რომელიც ფრანგულ კლუბს საბურთალოდან ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს შეუერთდა. 22 წლის შემტევს ტრავმა აწუხებდა და მის დებიუტს ამიტომაც დააგვიანდა.

***– გიორგი, ბოლო 2 მატჩია, გუნდის განაცხადში იყავი. ელოდი თამაშს?***

– პირველად 18-კაციან განაცხადში ნანსის წინააღმდეგ მოვხვდი. იმ მატჩშიც ველოდი დებიუტს, თუმცა, ისე წარიმართა შეხვედრა, რომ... ჯერ ფეხბურთელი გაგვიგდეს, შემდეგ მწვრთნელს გარკვეული გადაადგილების გაკეთება მოუხდა.

რაც შეეხება როდეზის წინააღმდეგ ჩემს თამაშს, გამიხარდა, რომ მომიწია მინდორზე შესვლა. ამდენი ხანი ველოდი ამ დღეს. იმედია, მომავალშიც ნელ-ნელა მომეცემა თამაშის შესაძლებლობა და შევალ სპორტულ ფორმაში.



***– უშუალოდ მატჩი როგორი იყო?***

– საფრანგეთში ძალისმიერ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ, ჯარიმის ზღვარზე. ანალოგიური ხდება ვარჯიშებზეც – ერთ-ერთ ბოლო საწვრთნელ პროცესზე თანაგუნდელმა ისე ჩამარტყა ფეხში, ახლაც მეტყობა ნაიარევი. არ აქვს მნიშვნელობა, მატჩის წინა ვარჯიშია თუ არა, ყოველ საწვრთნელ პროცესზე ბოლომდე ბრძოლა მიმდინარეობს და არ ერიდებიან არაფერს. როდეზის წინააღმდეგ ბოლო 15 წუთი ვითამაშე. მინიმალური სხვაობით ვიგებდით, მაგრამ ბურთს ხშირად მასპინძლები ფლობდნენ. სამწუხაროდ, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ჯარიმიდან გაგვითანაბრეს. არადა, მორიგ 3 ქულასთან ახლოს ვიყავით.

***– რა პოზიციაზე ითამაშე?***

– თავდამსხმელების უკან, 10 ნომერზე. შემდეგ რამდენიმე წუთით მარჯვენა ფლანგზე გადამიყვანა მწვრთნელმა.

***– ფეხი აღარ გაწუხებს?***

– ისეთი ტრავმა გადავიტანე, ახლა მას სულ მოფრთხილება უნდა. ვარჯიშზე თუ თამაშზე სულ უნდა მოვამზადო ფეხი, გავუფრთხილდე. სისტემატურად დავდივარ სატრენაჟორო დარბაზში და ვვარჯიშობ.

***– როგორც ფრანგულ პრესაში იწერება, გრენობლი გასულ წელს უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობდა, რასაც ვერ ვიტყვით წლევანდელზე. თავად რა შეგიძლია თქვა?***

– გასული სეზონის შემდეგ გუნდს მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ლაპარაკობენ და ადარებენ გასულ სეზონსა და წლევანდელს. მსგავსი საუბრები მეც მოვისმინე. ყველა მწვრთნელს ფეხბურთზე თავისი შეხედულება აქვს. მთავარია, გუნდმა დასახული გეგმა შეასრულოს.

***– და რა არის წლეულს მიზანი?***

– უძლიერესთა შორის თამაშია გუნდის წლევანდელი მიზანი, თუმცა, ვნახოთ, რამდენად მოახერხებს გუნდი ამის გაკეთებას. სამწუხაროდ, სტარტი არ გამოგვივიდა, მაგრამ ახლა ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ შედეგს.

# გიორგი ჩხეტიანი ბრაგაში ითამაშებს

თბილისის დინამოს მცველი გიორგი ჩხეტიანი პორტუგალიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ ბრაგაში ითამაშებს. ინფორმაციას პორტუგალიური კლუბის ვებგვერდი ავრცელებს. ჩხეტიანი ბრაგას 23-წლამდელთა გუნდში ერთწლიანი იჯარით გადავიდა.

**გიორგი ჩხეტიანი:**

– მიხარია, რომ ამ შესანიშნავ გუნდში მოვხვდი. ბრაგას შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი. საქართველოში ყველაზე ტიტულოვან გუნდში ვასპარეზობდი, მაგრამ ბრაგაში თამაშის შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ წარმატებას მივაღწიო.

აქვე გეტყვით, რომ ჩხეტიანი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრია, თბილისის დინამოს შემადგენლობაში კი მან 2 მატჩი ითამაშა.

# გრიგალაშვილის ოქრო, მაისურაძის ვერცხლი

ქართველი ძიუდოისტი ტატო გრიგალაშვილი ზაგრების გრანპრის გამარჯვებულია. 81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ჩვენებური ფინალში ბრაზილიელ გილერმე შმიდტს დაეჭიდა და თავიდანვე ვაზარით დაწინაურდა. მართალია, ჭიდაობის მსვლელობისას ორი გაფრთხილება მიიღო, მაგრამ საქმე ბოლომდე მიიყვანა. გრიგალაშვილი პირველი წრიდან თავისუფალი იყო, ოქროსკენ მიმავალ გზას კი მოლდოველი ნიკონ ზაბოროსკიუჩის დამარცხებით შეუყვა, რომელსაც ფრანგი ბაპტისტ პიერი მიაყოლა, ხოლო ნახევარფინალში ნიდერლანდელ ჯიმ ჰეიმანს სძლია.

ლუკა მაისურაძე კი ზაგრების გრანპრის ვერცხლის მედალოსანია. 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ლუკა ოქროს მედლისთვის ბრძოლაში აზერბაიჯანელ მამადალი მეჰდიევთან დამარცხდა.

მანამდე ჩვენებურმა ზედიზედ 3 შეხვედრა მოიგო: მაისურაძე პირველი წრისგან თავისუფალი იყო; მეორე წრეში იტალიელი ჯენარო პირელი დაამარცხა; მეოთხედფინალში – ნიდერლანდელი იესპერ სმინკი; ნახევარფინალში – უკრაინელი სტანისლავ გუნჩენკო;

ჯუმბერ მელაძემ (73) პირველ რაუნდში ბრიტანელ დანიელ პაუელს აჯობა, ხოლო შემდეგ ესპანელ სალვადორ კასეს როკასთან დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. ზაურ დვალაშვილიც (81) ესპანელმა მეტოქემ გააგდო – ქართველი ძიუდოისტი პირველივე რაუნდში ხოსე მარია მენდიოლა ისკიეტასთან დამარცხდა.

# კუმანს ცუდად აღარ უყურებენ

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ესპანურ მედიაში ბარსელონის მთავარ მწვრთნელ რონალდ კუმანს აგინებდნენ და მისი შემცვლელების სავარაუდო კანდიდატებს ეძებდნენ. ეგ კი არა, ბარსას ხელმძღვანელობა ბელგიის ნაკრების თავკაცს დაელაპარაკაო – იწერებოდა აპენინურ მედიაში.

ბოლო ტურში ბარსამ ლევანტე საკუთარ კედლებში 3:0 დაამარცხა და გულშემატკივარს იმედი მიეცა.

საიდან გაჩნდა ეს იმედი? ლევანტესთან მატჩში მონაწილეობა რამდენიმე პერსპექტიულმა ახალგაზრდამ მიიღო. ითამაშეს და გაიმარჯვეს. თავის მხრივ, ბარსელონის ამჟამინდელი თავკაცი რონალდ კუმანი ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ დიდ ნდობას იჩენს, რაც საბოლოოდ შედეგამდეც მიდის. ჟერარდ პიკესა და სერხიო ბუსკეტსის გარდა, „ბლაუგრანა“ მოედანზე თინეიჯერებით გაივსო: ოსკარ მინგესა (22 წლის), რონალდ არაუხო (22), ერიკ გარსია (20), ნიკო გონსალესი (19), გავი (17), იუსუფ დემირი (18) და ანსუ ფატი (18).

ახალგაზრდა ფეხბურთელებმა შესანიშნავად იმოქმედეს, მაგრამ გავისა და ანსუ ფატის თამაში გამოსარჩევია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „ბლაუგრანაში“ ფინანსური კრიზისი მძვინვარებს, დიდი სახელების გუნდში მოსვლა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლებელია, მსგავსი ნიჭიერი თინეიჯერებისთვის კი ეს შანსი უნდა იყოს, თანაც რონალდ კუმანი და მისი სამწვრთნელო შტაბი მათ დიდ ნდობას უცხადებენ.

თუ პროექტმა იმუშავა, კუმანის სახელი ბარსელონის ისტორიაში წარმატებით გაგრძელდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შერმადინი აბობოქრდა, ფრენკამპმა ტრავმა მიიღო

ესპანეთის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო კალათბურთელი გიორგი შერმადინი იმავე ტიტულის დასაცავად საქმეს შეუდგა. ტენერიფეს ქართველმა ცენტრმა, წინა ტურის მსგავსად, 19 ქულა ჩააგდო, თუმცა ამჯერად მისი შედეგი მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო და შერმადინი მატჩის მვპ გახდა, რომელშიც ტენერიფელებმა ბილბაო 89:79 დაამარცხეს.

პირველი პერიოდი ბილბაოელებმა 8 ქულით მოიგეს, მაგრამ შემდეგ უპირატესობას კანარიელები დაეუფლნენ და გადამწყვეტი მე-4 მეოთხედი გამოდგა, რომელიც სწორედ 8 ქულით მოიგეს (21:13) და საბოლოო გამარჯვება იზეიმეს – სეზონში მე-2.

ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო გიორგი შერმადინი იყო, რომელმაც არასრულ 23 წუთში 19 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. ქართველმა ცენტრმა 9-დან 7 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. ჩვენებურის მარგი ქმედების კოეფიციენტი 26 აღმოჩნდა, რაც ორივე გუნდის კალათბურთელთა შორის საუკეთესო შედეგი იყო.

3 ტურის შემდეგ ლენოვო ტენერიფეს ლიგაში 2 მოგებითა და 1 წაგებით მე-6 ადგილი უკავია, მომდევნო შეხვედრას კი სტუმრად მადრიდის რეალთან გამართავს.

თად მაკფადენის მურსიამ ბექა ბურჯანაძის ბეტისს უმასპინძლა და დამაჯერებლად – 88:66 დაამარცხა.

გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა. მაკფადენმა მოედანზე 24 წუთი გაატარა, რა დროშიც 18 ქულას, 3 მოხსნასა და 4 პასს მოუყარა თავი. მაკფადენმა 5-დან 4 ორქულიანი, 8-დან 3 ორქულიანი და ერთიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა. ბეტისის რიგებში ბექა ბურჯანაძემ 17 წუთი ითამაშა და 4 ქულა ჩააგდო. მან 6-დან 2 ორქულიანი გამოიყენა და ორიდან ორი სამქულიანი ააცილა. გარდა ამისა, ბურჯანაძეს 8 მოხსნა და ერთი პასი ჰქონდა.

მაკფადენის მურსია მომდევნო ტურში ვალენსიას ესტუმრება, ხოლო ბურჯანაძის ბეტისი მანრესას წინააღმდეგ ითამაშებს.




მაკფადენის ამბები ჩვენთვის ახლა უფრო მეტად არის საინტერესო, რადგან მისმა უშუალო კონკურენტმა საქართველოს ნაკრებში კონერ ფრენკამპმა ვითიბი ლიგაში სანკტ-პეტერბურგის ზენიტის მაისურით ჩატარებულ პირველივე მატჩში ტრავმა მიიღო და მოედანს გაურკვეველი დროით ჩამოშორდა.

ფრენკამპი ტალინის კალევთან მატჩში პეტერბურგელთა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მასპინძელთა პირველი ქულებიც მიითვალა (ორქულიანი ჩააგდო), თუმცა 02:46 წუთის თავზე დაშავდა და თამაშში აღარც ჩართულა.

როგორც მატჩის მერე ზენიტის მთავარმა მწვრთნელმა ხავი პასკუალმა განაცხადა, ფრენკამპის გამოკლებამ მისი გეგმები საკმაოდ არია, თუმცა ფავორიტად შერაცხულმა რუსულმა კლუბმა მაინც დამაჯერებლად იმარჯვა – 75:60.

ფრენკამპის გუნდს ვითიბი ლიგაში მომდევნო შეხვედრა ყაზახურ ასტანასთან ელის, მანამდე კი ევროლიგის ეგიდით კიდევ ერთ რუსულ კლუბ ყაზანის უნიქსს ესტუმრება.

ვითიბი ლიგაში მე-2 მატჩიც დიდი ანგარიშით მოიგო თორნიკე შენგელიას ცსკა-მ. ქართველი კალათბურთელის გუნდმა სასტარტო შეხვედრაში ბელარუსის ცმოკი-მინსკი გაანადგურა (92:44), მე-2 ტურში კი პოლონურ ზელენა გურასაც შავი დღე აყარა (105:71), რაშიც თოკომ დიდი წვლილი შეიტანა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 18 წუთში ყველაზე შედეგიანი იყო. თორნიკემ 14 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 7-დან 6 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

მისი მოედანზე ყოფნის პერიოდში კი ცსკა-მ მეტოქეზე 22 ქულით მეტი ჩააგდო. შედეგად, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა და მხოლოდ დანიის ნაკრების ლიდერ იფე ლუნდბერგს (25) ჩამორჩა, რომელმაც 12 ქულას 5 მოხსნა და 10 პასი წაამატა.

ცსკას ვითიბი ლიგაში მომდევნო მატჩი ნიჟნი ნოვგოროდში ელის. მანამდე, ზენიტის მსგავსად, ევროლიგის ახალ სეზონშიც ჩაებმება და პირველ ტურში იტალიაში მილანს ეთამაშებიან.

## შედეგები

### 26 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ვულვზი ................ 0:1
არსენალი-ტოტენჰემი .................... 3:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| 2.სიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-1 | 13 |
| 3.ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-2 | 13 |
| 4.მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| 5.ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| 6.ბრაიტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-4 | 12 |
| 7.ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| 8.ასტონ ვილა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 9.ბრენტფორდი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| 10.არსენალი | 6 | 3 | 0 | 3 | 5-10 | 9 |
| 11.ტოტენჰემი | 6 | 3 | 0 | 3 | 4-9 | 9 |
| 12.უოტფორდი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 13.ლესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 14.ვულვზი | 6 | 2 | 0 | 4 | 3-5 | 6 |
| 15.კრ.პალასი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 16.საუთჰემპტონი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-7 | 4 |
| 17.ნიუკასლი | 6 | 0 | 3 | 3 | 7-14 | 3 |
| 18.ლიდსი | 6 | 0 | 3 | 3 | 6-14 | 3 |
| 19.ბარნლი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-11 | 2 |
| 20.ნორვიჩი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბოხუმი-შტუტგარტი ..................... 0:0
ფრაიბურგი-აუგსბურგი .............. 3:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 23-5 | 16 |
| 2.ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 16-7 | 13 |
| 3.ვოლფსბურგი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-5 | 13 |
| 4.დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 17-12 | 12 |
| 5.ფრაიბურგი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 6.მაინცი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-3 | 10 |
| 7.კიოლნი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| 8.უნიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-8 | 8 |
| 10.ლაიფციგი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-7 | 7 |
| 11.გლადბახი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 12.ჰერტა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-18 | 6 |
| 13.შტუტგარტი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-12 | 5 |
| 14.აინტრახტი | 6 | 0 | 5 | 1 | 6-9 | 5 |
| 15.აუგსბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-11 | 5 |
| 16.არმინია | 6 | 0 | 4 | 2 | 3-6 | 4 |
| 17.ბოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-13 | 4 |
| 18.ფიურტი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-16 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ნიურნბერგი .................. 2:2
ჰანოვერი-ზანდჰაუზენი ................ 1:2
დინამო-ვერდერი ........................... 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ოსასუნა ...................... 2:3
ბარსელონა-ლევანტე .................... 3:0
რაიო-კადისი ................................. 3:1
სოსიედადი-ელჩე ......................... 1:0
ბეტისი-ხეტაფე ............................. 2:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 21-8 | 17 |
| 2.სოსიედადი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-6 | 16 |
| 3.სევილია | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 14 |
| 4.ატლეტიკო | 7 | 4 | 2 | 1 | 9-6 | 14 |
| 5.რაიო | 7 | 4 | 1 | 2 | 13-7 | 13 |
| 6.ბარსელონა | 6 | 3 | 3 | 0 | 11-5 | 12 |
| 7.ბეტისი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-7 | 12 |
| 8.ვალენსია | 7 | 3 | 2 | 2 | 12-8 | 11 |
| 9.ოსასუნა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-11 | 11 |
| 10.ბილბაო | 7 | 2 | 4 | 1 | 6-4 | 10 |
| 11.ვილიარეალი | 6 | 1 | 5 | 0 | 6-3 | 8 |
| 12.მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-12 | 8 |
| 13.ესპანიოლი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-7 | 6 |
| 14.კადისი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 6 |
| 15.ელჩე | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 16.სელტა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| 17.ლევანტე | 7 | 0 | 4 | 3 | 6-12 | 4 |
| 18.გრანადა | 6 | 0 | 3 | 3 | 5-11 | 3 |
| 19.ალავესი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-11 | 3 |
| 20.ხეტაფე | 7 | 0 | 0 | 7 | 2-12 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდესი-ლეგანესი .................... 1:2
ხიხონი-მალაგა .............................. 2:1
ოვიედო-ხირონა ............................ 0:0
ლუგო-სარაგოსა ............................ 1:1
ვალიადოლიდი-ალკორკონი ........ 2:0

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-სამპდორია ................. 3:2
სასუოლო-სალერნიტანა ............... 1:0
უდინეზე-ფიორენტინა .................. 0:1
ემპოლი-ბოლონია ......................... 4:2
ლაციო-რომა .................................. 3:2
ნაპოლი-კალიარი .......................... 2:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 6 | 6 | 0 | 0 | 16-2 | 18 |
| 2.მილანი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-3 | 16 |
| 3.ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 20-7 | 14 |
| 4.რომა | 6 | 4 | 0 | 2 | 14-8 | 12 |
| 5.ფიორენტინა | 6 | 4 | 0 | 2 | 9-9 | 12 |
| 6.ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 15-9 | 11 |
| 7.ატალანტა | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 8.ემპოლი | 6 | 3 | 0 | 3 | 9-10 | 9 |
| 9.იუვენტუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 10.ბოლონია | 6 | 2 | 2 | 2 | 9-14 | 8 |
| 11.ტორინო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 7 |
| 12.უდინეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 13.სასუოლო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 7 |
| 14.ვერონა | 6 | 1 | 2 | 3 | 11-14 | 5 |
| 15.ჯენოა | 6 | 1 | 2 | 3 | 10-15 | 5 |
| 16.სამპდორია | 6 | 1 | 2 | 3 | 7-10 | 5 |
| 17.სპეცია | 6 | 1 | 1 | 4 | 8-15 | 4 |
| 18.ვენეცია | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| 19.კალიარი | 6 | 0 | 2 | 4 | 7-15 | 2 |
| 20.სალერნიტანა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-15 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-ალესანდრია ..................... 1:1
პარმა-პიზა ..................................... 1:1
ვიჩენცა-კრემონეზე ...................... 0:1
ტერნანა-სპალი ............................. 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ბორდო-რენი .................................. 1:1
ბრესტი-მეცი ................................. 1:2
რეიმსი-ნანტი ............................... 3:1
ტრუა-ანჟე ..................................... 1:1
კლერმონი-მონაკო ........................ 1:3
მარსელი-ლანსი ............................ 2:3

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 8 | 0 | 0 | 22-7 | 24 |
| 2.ლანსი | 8 | 4 | 3 | 1 | 14-10 | 15 |
| 3.მარსელი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-8 | 14 |
| 4.ნიცა | 7 | 4 | 2 | 1 | 15-3 | 13 |
| 5.ანჟე | 8 | 3 | 4 | 1 | 11-7 | 13 |
| 6.ლორიანი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-8 | 13 |
| 7.ლიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-12 | 12 |
| 8.მონაკო | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| 9.ლილი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-14 | 11 |
| 10.ნანტი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-10 | 10 |
| 11.რეიმსი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-9 | 10 |
| 12.სტრასბური | 8 | 3 | 1 | 4 | 12-13 | 10 |
| 13.რენი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-9 | 9 |
| 14.მონპელიე | 8 | 2 | 3 | 3 | 15-15 | 9 |
| 15.კლერმონი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-19 | 9 |
| 16.ბორდო | 8 | 1 | 4 | 3 | 11-17 | 7 |
| 17.ტრუა | 8 | 1 | 3 | 4 | 8-12 | 6 |
| 18.მეცი | 8 | 1 | 3 | 4 | 9-16 | 6 |
| 19.ბრესტი | 8 | 0 | 4 | 4 | 9-16 | 4 |
| 20.სტ.ეტიენი | 8 | 0 | 3 | 5 | 7-17 | 3 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სპარტა-კამბური ............................ 0:4
ალკმაარი-იგლზი ......................... 5:0
ჰერენვენი-ტვენტე ........................ 2:3
ერაკლესი-ვალვაიკი ..................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სანტა კლარა-ბრაგა ...................... 1:1
პორტიმორენშე-ვიზელა ............... 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-რუბინი ............................. 2:0
როსტოვი-ახმატი .......................... 1:2
კრასნოდარი-სოჭი ....................... 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სენ ჟილუ-ანტვერპენი ................... 1:2
გენტი-სერკლი ............................... 2:1
ოსტენდე-ანდერლეხტი ................. 2:2
გენკი-სერენი ................................. 3:0
შრლერუა-მეხელენი ...................... 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ადმირა .......................... 3:1
ჰარტბერგი-აუსტრია .................... 3:4
რაპიდი-შტურმი ............................. 0:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-აბერდინი ..................... 3:2
სელტიკი-დ.იუნაიტედი ................. 1:1
ჰიბერნიანი-სტ.ჯონსონი .............. 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გირესუნი-ქაისერი ........................ 1:1
ბაშაქშეჰირი-რიზე ......................... 3:0
ხატაი-ფენერბახჩე ........................ 1:2
გალათასარაი-გიოზთეფე ............ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ოლიმპიაკოსი .............. 0:2
პანათინაიკოსი-ვოლოსი .............. 5:1
ლამია-პანეთოლიკოსი ................. 2:2
პაოკი-აეკი ..................................... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ლუგანო ......................... 2:3
ბაზელი-ციურიხი ........................... 3:1
გრასჰოპერსი-სიონი ..................... 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-სლოვაცკო ............... 3:5
ტეპლიცე-სიგმა ............................. 0:0
იაბლონეცი-სლოვანი ................... 0:1
სლავია-ჰრადეც კრალოვე .......... 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-გურნიკი ............................ 3:1
სლასაკი-პლოცკი .......................... 3:1
ვისლა-პოგონი ............................... 0:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-დებრეცენი .................. 2:1
ფერენცვაროში-უიპეშტი ............. 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-ლვოვი ................................. 1:2
დნიპრო-ზორია ............................. 0:4
დესნა-მეტალისტი ........................ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ოდენსე ........................... 1:1
მიდტიულანდი-რანდერსი ........... 1:0
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ....... 1:5
ბრონდბიუ-ოლბორგი ................... 2:1
ვაილე-სილკებორგი ..................... 2:4

**შვედეთი. ალსვენსკა**

მიალბი-ელფსბორგი ................... 4:0
ესტერსტუნდი-დიურგარდენი ...... 0:3
ნორჩიოპინგი-ვარბერგი .............. 2:1
ჰაკენი-ჰამარბი ............................. 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-კრისტიანსუნდი ................. 3:1
მიოლდე-ვიკინგი ......................... 2:2
რუსენბორგი-მიონდალენი .......... 3:1
სანდერფიორდი-სტაბეკი ............. 0:3
ჰაუგესუნდი-ოდ გრელანდი ........ 1:3
ბოდო გლიმტი-ვალერენგა .......... 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## სამგლოვიარო განცხადებები

**ქეთინო მზარელუას ხსოვნას!**

ერთი ცრემლიანი და ტკივილიანი წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო, თბილო, გულისხმიერო, ჰუმანურო ქეთინო, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე შენს უსაყვარლეს შვილიშვილთან ლექსოსთან, კეთილშობილ მეუღლე აბესალომთან და სიძე თენგოსთან.

ძალიან აკლიხარ და ენატრები ოჯახსა და ახლობლებს!

ნათელში გამყოფოთ უფალმა!

ბიძაშვილები კუსუნა და გოჩა მზარელუები

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ასანთის ქართული სახელწოდება; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 4. კომბინაცია პოკერში; 5. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. აეროპორტი თელ-ავივში; 13. კარლ მარქსის ფუნდამენტური თხზულება; 14. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 16. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 18. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. ქართველი მოდელიერი მამაკაცი; 8. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. სუბტროპიკული ხილი; 10. ქართული აგროსამრეწველო ფირმა; 11. თვალის ექიმი; 15. შტატი აშშ-ში; 17. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 19. გემის ავარიის შედეგად მიღებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. ძაღლების შემსწავლელი დისციპლინა; 23. ბრიტანული ხილის ნამცხვარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ხვიჩია; 12. რაფსოდი; 14. პანედა; 15. აუდი; 17. ქანდა; 18. ეშხი.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. სამანგიო; 8. იგუასუ; 10. ჟესტი; 11. კასკადიორი; 13. აპელაცია; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. ფალსტაფი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაბერნე; 2. სახარება; 3. ჩაროზი; 4. გერბი; 5. ვიეტნამი; 8. მაშარაბი; 12. კაფე; 13. რამაიანა; 14. ორძელი; 16. ტაპიორი; 18. კონგო; 20. ქოცო.

**თარაზულად:** 6. ნაფტუსია; 7. აგასფერი; 8. მალარო; 9. პრადა; 10. ბენეფისი; 11. კონკლავი; 15. კარაბინიერი; 17. ბიკილა; 19. ლენქორანი; 21. ჰამსუნი; 22. იაკიტორია; 23. როკფორი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1172

ევრო — 3.6481

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2690

100 რუსული რუბლი — 4.2919

## ამინდის პროგნოზი 28 სექტემბრისათვის




## კილიან მბაპემ ნეიმარი გააკრიტიკა



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ბრაზილიელი მას ხშირად პასს არ უკეთებს და ამის გამო კილიანმა უკმაყოფილება არ დამალა.

მბაპემ თავის ერთ-ერთ თანაგუნდელს უთხრა, რაც კამერებმა დააფიქსირეს.

მბაპემ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ახალი გამოწვევები სურს და, დიდი ალბათობით, ამით მიანიშნა იმაზე, რომ შესაძლოა, პსჟ დატოვოს.

## ხოსეპ გვარდიოლამ ლივერპულთან დაპირისპირებაზე ისაუბრა



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ლივერპულთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადება. გვარდიოლას თქმით, ლივერპული წინა სეზონთან შედარებით გაცილებით ძლიერია:

– ლივერპულთან რთული შეხვედრა გველის, რადგან სავსე ენფილდზე ისინი მრისხანე ძალას წარმოადგენენ. შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვს.

## ტომას ლემარმა ტრავმა მოიშუშა

მადრიდის ატლეტიკოს შემტევმა ნახევარმცველმა ტომას ლემარმა ტრავმა მოიშუშა და მას უახლოეს მატჩებში მოედანზე ვიხილავთ, თუ, რა თქმა უნდა, სიმეონემ ასე მოინდომა, რადგან ლემარი ყოველთვის ვერ ხვდებოდა ატლეტიკოს ძირითად შემადგენლობაში.



მიუხედავად ამისა, მადრიდში მისი იმედი აქვთ და თვითონ ლემარმაც განაცხადა, რომ ის ძალებს არ დაიშურებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პრინცი ჰარი და მეგან მარკლი გოგონას დაბადების შემდეგ ერთად პირველად გამოჩნდნენ



პრინცი ჰარი და მეგან მარკლი საზოგადოების წინაშე პირველად წარდგნენ ერთად მას შემდეგ, რაც გოგონა ლილიბეტსი შეეძინათ.

წყვილი ნიუ იორკში ოთხშაბათს, 22 სექტემბერს ჩავიდა, რათა 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპულთა ხსოვნისთვის პატივი მიეგოთ. სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მოედანზე ავიდნენ და იქ ქალაქის მერ ბილ დე ბლაზიოსა და ნიუ იორკის შტატის გუბერნატორ კეტი ჰოჩულს შეხვდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 28 სექტემბრისათვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება. შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და გართობისათვის. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. აქცენტი მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ტყუპები** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. გარეგნულად ოპტიმისტური ჩანხართ, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. **ლომი** – რომანტიკული გრძნობების გამოვლენისას იფრთხილეთ. შესაძლოა, საპირისპირო სქესმა იმედი გაგიცრუოთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. მცირე შეცდომების გამო გული არ გაიტეხოთ. **სასწორი** – ინტიმურ სფეროში სიტუაცია არასტაბილურია. მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს ან ნათესავებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – თქვენს ნიჭს მოულოდნელად სრულიად ახალ საქმეში წარმოაჩენთ. დღეს მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **მშვილდოსანი** – შემოთავაზებული საქმიანი წინადადება ხელსაყრელი იქნება. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიდინჯე და თავშეკავება. ბევრი ლაპარაკით საქმეს გააფუჭებთ. **მერწყული** – დღეს რამდენიმე პრობლემა თავს ერთდროულად იჩენს, თუმცა თქვენი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე მათ გადალახვაში დაგეხმარებათ. **თევზები** – სახიფათო დღეა. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ფინანსებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

გამომძიებელი საავადმყოფოში მწოლიარე დაზარალებულს ეკითხება:

– თქვენ ამტკიცებთ, რომ არ გახსოვთ, როგორ გამოიყურება ის მოქალაქე, რომელიც თქვენს ბინაში შემოიჭრა, პერფორატორი ხელიდან გამოგგლიჯათ და უკანალში გაგიკეთათ? მაგრამ იქნებ ამ ყველაფერს ვინმე სხვა თვითმხილველი ჰყავს?

– რომელ თვითმხილველზეა საუბარი შაბათს, დილის ექვს საათზე?!

•••

პროფესორი სტუდენტებს მიმართავს:

– დაუმთავრებელი ანგარიში უბედურება სულაც არაა. მთავარია, როდესაც ბავშვებს გააკეთებთ, ბოლომდე გააკეთოთ, თორემ შემდეგ ეს დაუმთავრებელი ბავშვები მოდიან, მოაქვთ დაუმთავრებელი ანგარიშები და ვერაფრით გავარღვიეთ ეს ჩაკეტილი წრე...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ვინ არიან ყველაზე სახელგანთქმული პროვოკატორები?

– მხოლოდ ერთი.

– რომელი?

– მენდელსონი.

– კი მაგრამ, რატომ?

– მილიონობით სულელისთვის საქორწინო მარში დაწერა, თავად კი მთელი ცხოვრება მშვიდად გაატარა მარტოობაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაკო მაჭავარიანი და ზინი ქაჯაია არმანის ჩვენებაზე გამოვიდნენ



მილანის მოდის კვირეული მსოფლიოში ცნობილ დიზაინერებს მასპინძლობს. ისინი მოდის მოყვარულებს მომავალი წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლეს კოლექციებს წარუდგენენ.

უცხოელ მოდელებთან ერთად ჩვენებებში ქართველი მოდელებიც მონაწილეობენ.

მაკო მაჭავარიანმა და ზინი ქაჯაიამ ემფორიო არმანის ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა. მილანის მოდის კვირეულზე არმანის ჩვენება მაკო მაჭავარიანმა გახსნა.

## ნუცა შანშიაშვილი ამერიკაში დააჯილდოეს

მომღერალი ნუცა შანშიაშვილი ამერიკაში დააჯილდოეს. ქართულ-ამერიკული მემკვიდრეობის დღეზე ღონისძიება ფონდ „ბაგრატიონის" დამფუძნებელმა დიანა ბაგრატიონმა გამართა.



ნუცა შანშიაშვილთან ერთად ვერიკო ტურაშვილი, თემურ თათარაშვილი, ლაშა რამიშვილი, ანსამბლი გვირილა დაჯილდოვდნენ.

**ნუცა შანშიაშვილი:**

– რუსეთში მოღვაწეობის დროს საქართველოსთან ომამდე 2008 წლამდე რა ჯილდოებიც მაქვს აღებული, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ მაქვს ჩატარებული 8 სოლოკონცერტის პრემიერა, აბსოლუტურად განსხვავებული პროექტები – ნიუ იორკიდან დაწყებული, მთელი ამერიკის მასშტაბით, სადაც ყოველთვის წარმოვადგენ საქართველოს ჩემებური, ნუცას ხედვით! ასევე სამხატვრო გამოფენები და სხვა მრავალი, რაც იგეგმება საქართველოს პოპულარიზაციისა და ნიჭიერი მხრიდან გაცნობისათვის.

თუ კიდევ გაგიჩნდებათ კითხვები ამერიკულ ჯილდოსთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, პირადად მისწეროთ ქალბატონ დიანა ბაგრატიონს, პროდიუსერს, დამფუძნებელს ბრწყინვალე ფონდისა, რომელიც ემსახურება პირველ რიგში საქართველოს და ის გიპასუხებთ ჩემთან დაკავშირებით უფრო ღირსეულად და ლამაზად!

ვეცდები, უფრო მეტ წარმატებას მივაღწიო და პაწაწინა – დიდებული საქართველო წარმოვაჩინო ჩემი ხელოვნებით უმაღლეს დონეზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველგან!

## მომღერალი ვასო ფარჯიანი გარდაიცვალა



დმანისის ფოლკლორული ანსამბლის „შგარიდას" სოლისტი ვასო ფარჯიანი გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა დმანისის ფოლკლორულ ანსამბლ „შგარიდას" სოლისტი ვასო ფარჯიანი, დიდებული ადამიანი, ბრწყინვალე შემსრულებელი. ვუსამძიმრებ ანსამბლს, დმანისსა და მთელ სვანეთს. მადლობა ბატონ ვასოს ძალიან დიდი ღვაწლისთვის.

## სამეფო უბნის თეატრის შენობას ბზარები გაუჩნდა



ძველ თბილისში მდებარე სამეფო უბნის თეატრის შენობას ბზარები გაუჩნდა. ამის გამო თეატრში გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

– სამეფო უბნის თეატრში სცენაზე მიმდინარეობს გადაუდებელი სარემონტო სამუშაო. შენობას გაუჩნდა მცირე, თუმცა საყურადღებო ბზარები. გამაგრებაზე ვმუშაობთ პროფესიონალთა გუნდთან ერთად, რომელიც გვპირდება, რომ რამდენიმე კვირაში ვიქნებით მზად, დავუბრუნდეთ ჩვენს მაყურებელს კიდევ უფრო უსაფრთხო გარემოში!

შეწყვეტილი სეზონის განმავლობაში ჩატარდა სასცენო ტექნიკის გარკვეული ნაწილის განახლებითი სამუშაო, ასევე მიმდინარეობს დარბაზის ვენტილაციის განახლება, რაც უმნიშვნელოვანესია მიმდინარე პანდემიურ ვითარებაში.

ძალიან გვენატრებით და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან შევძლოთ თქვენთან დაბრუნება ბევრი სიახლით! გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას, – ნათქვამია სამეფო უბნის თეატრის განცხადებაში.

## უნიკალური „ვეფხისტყაოსანი" გაეროს არტკოლექციაში განთავსდა

უნიკალური ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი", რომლის ყდაც საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მოქანდაკე გუჯი ამაშუკელმა მოჭედა, ნიუ იორკში გაეროს არტკოლექციაში განთავსდა.



„ვეფხისტყაოსნის" სამუზეუმო ეგზემპლარი, რომელიც 2017-2018 წლებში თბილისსა და პარიზში მხატვრებისა და კალიგრაფების ჯგუფის მიერ შეიქმნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს ოფიციალურად გადასცა.

ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური საგანძურის ჭედური ყდა, რომელიც გუჯი ამაშუკელმა შექმნა, დამზადებულია ვერცხლისგან და გამოყენებულია 20-მდე დასახელების ძვირფასი ქვა.

საქართველოს საჩუქარი გაეროს სათავო ოფისში, მეორე სართულზე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე განთავსდა, სადაც მდებარეობს დარბაზი, რომელშიც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომები ტარდება.

ღონისძიებას გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ატულ ხარე დაესწრო. მან საქართველოს პრემიერ-მინისტრს საჩუქრად გადასცა შოთა რუსთაველის საფოსტო მარკა, რომელიც 2018 წელს შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფოსტო მარკებისა და ნუმიზმატიკის დეპარტამენტმა გამოსცა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 2. მძაფრი სუნის მქონე ქიმიური ელემენტი, აირი; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მუსლიმანთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 5. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 9. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; 12. რამდენიმე სართულად გამართული თარო; 14. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 15. ფიჯის დედაქალაქი; 17. ავადმყოფური ლტოლვა, მისწრაფება რაიმესადმი; 18. ტბა თბილისში.

**თარაზულად:** 6. თეთრკანიანისა და ზანგის ქორწინების შთამომავალი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 11. ხის ორი ფირფიტისაგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა ესპანური ცეკვების აკომპანემენტირებისთვის; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამპი; 16. მონებსა და დამნაშავეთა ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში. 20. შავკანიანითა რასის წარმომადგენელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

